წელიწადი მეორე ფასი 7 კაპ. პარასკევი, 14 ღვინობისთვე 1916 წ. № 228

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების [illegible] ჩვეულებრივი სტრიქონი, [illegible] გვერდზე პეტიტით ღირს [illegible] კ., უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი. დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. საქართველო წელიწადი მეორე.

[illegible] ღირს: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით 4 თვით—4 მ. 80 კ. 3 თვით—3 მ. 60 კ. 1 თვით—1 მ. 20 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

[illegible]: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან.

სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 5 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 6—მან.

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე.

ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი ხანდრო შანშიაშვილი.

ოზურგეთის ახალ თეატრის სცენის მოყვარენი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ძვირფას მსახიობ ქალის

ელენე რაჭდენის ასულის

წუწუნავას

გარდაცვალებას. პანაშვიდი პარასკევს, 14 ღვინობისთვეს, საღამოს ექვს საათზე განსვენებულის ბინაზე.

(2—208—1)

დღეს, 14 ღვინობისთვეს, 12 საათზე, ორმოცის დღის პანაშვიდი გადახდილ იქმნება კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში

ასლან ალექსის ძის

ბასილაშვილის,

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გულმოკლულნი და ღრმად დამწუხრებულნი მშობლები, და, დეიდა, დეიდაშვილი, ბიძები და ძალუები.

(1—364—1)

ღვინის საწყობი

ნიკო გ. სესიაშვილისა

◆ იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი ◆

კახური ღვინო

განოვის ქუჩა № 4.

— სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა. —

(185—ლ.)

პირველ ხარისხოვანი რესტორანი

კაფე პარიზი

ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.

(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)

სიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში“ შეიძლება.

ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია

ყოველ დღე მზადდება

საუზმე
სადილები
ვახშმები

ჩაი
ყავა
ხაჭაპური
პიროჟკები

ადგილობრივი და უცხოური საჭმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.

პატივისცემით ხიდ. ხ. გიგიბერია.

ექიმი

ფონ-ირტელი

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოპანეზოვისა).

მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი (Бѣль), საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^{1}/_{2}$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე. ერლიხის „914“ და „606“

შეშხაპუნება

ექიმი-დოსტაქარი

ბ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნის და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

◆ პროვიზორის ახვლედიანისა ◆

ექიმი

მ. ი. ვაჩნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათა ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

მასსაჟს, კანს ქვეშ შეშხაპუნებას და შეხვევას კისრულობს

სპეციალისტი ფერშალი და მასსაჟისტკა ქალი

დღის 3 საათიდამ საღამოს 7 საათამდის.

თუმანოვის შესახვევი, № 24.

(თ. 343—19)

საუკეთესო
სასადილო
„ეკონომია“
პუშკინის ბაღის პირდაპირ.

„ფრანციის“ ნომრების ქვეშ, შტაბის ქუჩა.

მოწყობილია ევროპიულ პირველ ხარისხოვან რესტორანების მსგავსად. საჭმელები ევროპიულიც არის და ადგილობრივიც. ყოველ დღე: ხარშო, ღომი, საცივი, ხაჭაპური, „პიროჟკი“ და სხვა საუზმე. სადილი და ვახშამი. მიუხედავად სანოვაგის სიძვირისა, „ეკონომიაში“ სადილები ეტად იაფია. გამოცდილი მზარეული სადილს კარგათ ამზადებს.

სასადილოში არის ნარდი და ბილიარდი

პატივისცემით „კაფე-პარიზის“ წინანდელი მწარმოებელი

(თ. 253—19) დიმიტრი უჩ. გიგიბერია და ნ. ზ. ქურთაური

დაიბეჭდა ბ-ნ დ. უზნაძის მიერ შედგენილი წიგნი:

„მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო“

პირველი ნაწილი ძველი აღმოსავლეთი და პირველყოფილი კულტურა, ფასი ყდით ექვსი აბაზი.

და ბ-ნ ვახ. წერეთლის მიერ შედგენილი:

ქართული სამეცნიერო და საფილოსოფოსო

ტერმინოლოგია

ივანე პეტრიწის თარგმანის მიხედვით, ფ. 30 კაპ.

გამოცემულნი თ. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიის მიერ.

იბეჭდება და მალე გამოვა ბ-ნ ს. გორგაძის მიერ შედგენილი ქრისტომატია

ჩვენი ახალი მწერლობა

და ბ-ნ ვ. ყიფიანის მიერ შედგენილი

ალგებრა ქართულ ენაზე.

(10—203—3)

საერთაშორისო მდგომარეობა

გერმანული წყალქვეშა ნავი ნომერი 53 ნიუიორკის ნავთსადგურს ეწვია, ვილსონს იმპერატორ ვილჰელმის წერილი გადასცა და უკან დაბრუნებისას ათიოდე ინგლისური გემი დაჰლუპა. ხოლო, როცა ინგლისის მთავრობამ შეერთებული შტატების წინაშე ამ ფაქტის გამო მხურვალე პროტესტი განაცხადა, აუშფოთებელი იანკების პრეზიდენტმა მჭერმეტყველი დუმილით უპასუხა. კიდევ მეტი: როგორც ინგლისის საგარეო მინისტრის გრეის განცხადებიდან ჩანს, ამერიკას მისთვის უკმაყოფილება გამოუთქვამს იმის გამო, რომ შეერთებული შტატების ზღვებში ინგლისური სამხედრო გემები იმყოფებიან და მოუთხოვნია შეძლების დაგვარად ამ ზღვების განთავისუფლება.

ეს გარემოება ნათლად მოწმობს, რომ შეერთებული შტატების სულიერ განწყობილებაში ბოლო დროს მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა გერმანიის სასარგებლოდ. სხვაფრივ წარმოუდგენელი იქნებოდა ასეთი მიკერძოებითი ყოფა-ქცევა ამერიკის რესპუბლიკისა. მართალია იმ წერილის შინაარსი, რომელიც გერმანელმა წყალქვეშა ნავმა ნიუიორკში მიიტანა ჯერჯერობით საიდუმლოებას წარმოადგენს, მაგრამ უეჭველია, რომ უბრალო მოკითხვის გადასაცემად ვილჰელმ II პრეზიდენტ ვილსონთან წყალქვეშა ნავს არ გააგზავნიდა. ჭკუასთან უფრო ახლო იქნებოდა გვეფიქრნა, რომ აღნიშნული წერილი მნიშვნელოვან დიპლომატიურ საბუთებს შეიცავდა და ამერიკამ ყურად იღო ეს საბუთები.

დაახლოებით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ რაგვარი არგუმენტებით მოქმედობს გერმანული დიპლომატია ჩრდილო-ამერიკის რესპუბლიკაზე. ოთხთა შეთანხმების კოალიციაში შედის იაპონიაც, ეს უძლიერესი მოქიშპე შეერთებული შტატებისა. „ამომავალი მზის ქვეყანა“ საყურადღებოდ გაძლიერდა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში. დიდი ომის დაწყებისთანავე მან დაიპყრა გერმანელების მიერ გამაგრებული ადგილები ჩრდილო აღმოსავლეთ ჩინეთში. შემდეგ „მშვიდობიანი გზით“ ძლიერ შორს შეიჭრა მანჯურიასა და მონგოლიაში. ბოლოს რუსეთთან ხელშეკრულებაც დასდო, რაიცა არსებითად პოლიტიკურ კავშირს უდრის. ამ ხელშეკრულების ძალით რუსეთი და იაპონია ერთი მეორეს ჰპირდებიან, რომ მონაწილეობას არ მიიღებენ არავითარ კომბინაციაში, რომელიც რომელიმე მათგანის წინააღმდეგ იქნება მიმართული.

ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებს რასაკვირველია არ გამოეპარებოდა ის გარემოება, რომ ეს ხელშეკრულება არსებითად ჩინეთის წინააღმდეგ არის მიმართული და იაპონია ზურგს იმაგრებს მოსალოდნელი კონფლიქტისთვის. ტოკიოში უკვე ისმის სამხედრო დაფდაფების შორეული ხმა. გრაფ ოკუმას მშვიდობიანი კაბინეტი გადადგა და მისი ადგილი საომრად მომართული გენერალი ტერაუცის სამინისტრომ დაიჭირა.

მაგრამ იაპონიის ახალი სამინისტრო მარტო ჩინეთის წინააღმდეგ როდი არის მიმართული. ჩინეთის ნიადაგზე მზადდება ახალი დიდი კონფლიქტი „ამომავალი მზისა და „შუქურ ვარსკლავის“ ქვეყნებს შორის: მოტომ რომ შეერთებული შტატები ჩინეთთან რთული ეკონომიური ინტერესებითაა გადაჭდობილი და არასოდეს არ დათანხმდება, რომ ეს უზარმაზარი სახელმწიფო იაპონიამ თავის კოლონიად გაიხადოს, კორეისა და აღმოსავლეთ მანჯურიის მსგავსად. იაპონიის ვაჭრობა-მრეწველობამ დიდი ნაბიჯი გადასდგა უკანასკნელ დროს: რუსეთის მიერ დანაკვეთმა სამხედრო მასალამ დიდი შემოსავალი მისცა და ფრთები შეასხა იაპონიის ეროვნულ კაპიტალს. მაგრამ არც ამერიკის კაპიტალი ჩამორჩენია თავის მეტოქეს. უკანასკნელი ცნობების მიხედვით შეერთებული შტატების ეროვნულ სიმდიდრეს ომის დროს ორასი მილიარდი მანეთი მიემატა. ამერიკულ იმპერიალიზმ კიდევ უფრო სჭირია გამოსავალი ვიდრე იაპონურს და მოსალოდნელია, რომ ეს ორი სტიქიონური ძალა ახლო მომავალში ერთი მეორეს შეეჯახება.

იაპონია ინგლისის ძველი და რუსეთის ახალი მოკავშირეა. რადგან ანტიგერმანული კოალიციის გაძლიერება იაპონიის გაძლიერებასაც ნიშნავს, გასაკვირალი არ არის, რომ ამერიკელი იუნკერის გული გაცივდა ოთხთა შეთანხმების სახელმწიფოებისთვის. ყოველ შემთხვევაში ძნელი მოსალოდნელია, რომ დღევანდელი ომის დასასრულამდე შეერთებულმა შტატებმა რაიმე რეალური ზომა მიიღოს გერმანული წყალქვეშა ნავების უკონტროლო თარეშის წინააღმდეგ.

თუ ამერიკისა და გერმანიის ინტერესებს შორის რავდენიმედ თანხმობა აღმოჩნდა, იგივე არ შეიძლება ითქვას გერმანიისა და პოლონეთის ინტერესებზე. სასტიკი ბრძოლა სწარმოებდა გერმანელებსა და პოლონელებს შორის უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში და ამ ბრძოლაში გამოაშკარავდი უმაგალითო სიძულვილი ამ ორი დიდი ენერგიულ ტომის. დღეს გერმანეთ-ავსტრო-უნგრეთი პოლონეთს ულოლიავებს: დამოუკიდებელ სახელმწიფოს მინიჭებას ჰპირდება და სამაგიეროდ ჯარის მოშველებას სთხოვს. ეს კონტრაქტი სასარგებლოა გერმანეთისათვის. პოლონეთის საკითხს გადაწყვეტა მარტოთ მარტო ცენტრალურ სახელმწიფოებს არ ძალუძს, ეს საერთაშორისო საკითხია და მომავალ სამშვიდობო კონგრესზე უნდა გაირჩეს. გერმანეთი კი დიდად მოგებული იქნება თუ პოლონეთი მის ანკესს წამოეგო და დაპირების სანაზღაუროდ 700 ათასიანი ჯარი მიაშველა. თუ რუსულ გაზეთებს ვენდობით, პოლონეთის არმია უკვე სდგება. გალიციელ ლეგიონებმა პოლონურ დამხმარე კორპუსის სახე მიიღეს, პეტროკოვის გუბერნიაში უკვე გაწვეულია რუსის ქვეშევრდომი პოლონელები 18-დან 42 წლამდე. გერმანელებს ამ მომავალი ლაშქრისთვის უკვე პოლონელი მხედართმთავარი დაუნიშნავთ და შესაფერი ეროვნული ფორმაც მიუციათ. სამწუხაროა, რომ პოლონელი ერი ოსპის შეჭამადში პირმშოს უფლებებს სცვლის.

ვ. ლეღიანი.

კორექტურული შეცდომები.

გუშინდელ მეთაურში შემდეგი შეცდომებია: პირველ სვეტში სწერია **სქელი და განვითარებული**, უნდა იყოს: **ხშირი** და განვითარებული: მესამე, სვეტში სწერია: ამისდა **მიხედვით** უნდა იყოს-ამისდა მიუხედავად; მეოთხე სვეტში სწერია: სადგურ **დარკვეთიდან** უნდა იყოს-სადგურ დარგკოხიდან.

ქართული ბეჭდვითი სიტყვა

გაზეთ „ჩვენი მეგობარი“ სწერს:

ჩვენ დანამდვილებით გავიგეთ, რომ ამას წინად აღმოსავლეთ ფაკულტეტის პროფესორთ უკვე ჰქონიათ წინასწარი კრება ქართულ-სომხურ კათედრაზე პროფესორის არჩევის შესახებ და ერთხმად ბ. ნ. ადონცი (პრივატ-დოცენტია, სომხური ფილოლოგიის დოკტორი) აურჩევიათ. ეს დადგენილება მალე პროფესორთა საბჭოს და შემდეგ მინისტრს წარედგინება დასამტკიცებლად, და ბ. ადონციც პროფესორად გახდება ჯერ კიდევ მაშინ, როცა კათედრა ნ. მარრს უჭირავს.

მაგრამ რადგან ერთ კათედრაზე ორი პროფესორი წარმოუდგენელია, ეტყობა ბ. მარრი შტატიდან გასვლას აპირებს...

...ამგვარად ჩვენ საეროვნო თვითმოყვარეობას კიდევ ერთი წიხლი უთავაზეს და ამ უცნაური საქციელის. თუ არ მეთაურად, თანამგრძნობლად მაინც უნდა ჩაითვალოს ბ. ნ. მარრი, აკადემიკოსი და პროფესორი ბ. ნ. მარრი დიდათ დამსახურებულია თავისი ძვირფასი და ფასდაუდებელი შრომით ქართველი ერის წინაშე. მისგან აღდგენილი და გამოცემული ქართული ლიტერატურის ძეგლები სამარადისო უკვდავების წყაროდ შეიქნება ჩვენის ლიტერატურისათვის, მაგრამ ყოველივე ეს ნებას არ აძლევს მას თავისი მემკვიდრეობა გადასცეს სომეხ პროფესორ ადონცს, რომელიც თუ სომხურში ძლიერია, ქართულში ფრიად სუსტია და ქართულ კათედრას იმავე პირობებში ჩააყენებს, როგორც ეს პატკანოვის დროს იყო.

ჩვენ არ გვესმის არც მეცნიერული ეთიკა პროფესორებისა, რომელიც გვერდს უხვევს ისეთ ყოველის მხრივ ცნობილს, მცოდნესა და მუშაკს აღმოსავლეთის ფაკულტეტისას, როგორიც არის პრივატ-დოცენტი ივ. ჯავახიშვილი. ვერავითარი ხორციელი კაცი, გარდა „პეტროგრადის პროფესორებისა“ ამას ვერ გაიგებს, რათ ხვდა ესეთი უპირატესობა ბ. ადონცს?

ამავე გაზეთში დაბეჭდილია ბ ვ—ს „მცირე შენიშვნა“ ამავე საგნის შესახებ. იგი სწერს:

პეტრეს ქალაქის უნივერსიტეტში ქართული კათედრა დღეს დამოუკიდებელი არაა, იგი 1884 წლის წესდების ძალით სომხური ფილოლოგიის კათედრას შეუერთეს; დღეს მხოლოდ ხელოვნურად შეკავშირებული, გაუგებარი სომხურ-ქართული ფილოლოგიის კათედრა არსებობს; 1) მას ერთი ხელმძღვანელი პროფესორი ჰყავს (დანარჩენი—ყველანი პრივატ-დოცენტები არიან) და ცხადია, კათედრის თვითოეული საგნის წარმატება, აყვავება სავსებით ამ ხელმძღვანელზე, მის სინიდისიერებასა და ობიექტივობაზეა დამოკიდებული.

საჭიროა ახლავე ქართული ფილოლოგიის ძველ უფლებებში აღდგენა, რომელიც მას მინიჭებული ჰქონდა დღიდან ფაკულტეტის არსებობისა და რომელიც 1884 წელს სრულიად უსაფუძვლოდ წაართვეს არამკითხე მზრუნველთა მეოხებით.

მაშინ თვითეულ დისციპლინას თავისი საკუთარი წარმომადგენელი ეყოლება და მოსალოდნელ ეჭვებსა და აუცილებელს უსამართლობასაც ადგილი არ ექნება.

ბ. ნ. მარრის ხელთ არის ეს საქმე: მას სათანადო უფლებაც აქვს და ძალაც.

ომის ამბები

ბრძოლის ველზე

რუმინეთის ჩრდილოეთ-დასავლეთის ბრძოლის ასპარეზზე პრედეალს ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით მას შემდეგ, რაც ავსტრო-გერმანელებმა ტრანსილვანიაში შეტევა დაიწყეს. მას შემდეგ, რაც მოპირდაპირემ კრონშტადტი დაიბრუნა, პრედეალს განუწყვეტლივ ზარბაზნებს უშენდა და იერიშებზე თითქოს არაფერს ჰფიქრობდა. შეტევას სხვა ადგილებში აწარმოებდა. ამის შესახებ 8 ღვინობისთვის ნომერში ჩვენ ვწერდით შემდეგს: „მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს უფრო კი პრედეალს. აქ გაჩაღებული ცეცხლი უთუოდ განსაკუთრებული მიზნით არის გამოწვეული. პრედეალით კრონშტადტიდან რკინის გზა მიდის ბუხარესტში. იმის შემდეგ რაც ავსტრიელებმა კრონშტადტი დაიბრუნეს, პრედეალის ულელტეხილი განსაცდელში ჩავარდა. ამ ბუნებრივ სიმაგრის ხელში ჩაგდებით ფართოდ ეხსნებათ გზა მთელ რუმინეთის ტერიტორიაზე. თვით სტრატეგიული მოსაზრება აიძულებს მოპირდაპირეს მთავარი ყურადღება აქეთკენ მიაქციოს. ახლა გაჩაღებული საარტილერიო ცეცხლი უთუოდ წინამორბედია იმ იერიშებისა, რომელსაც მოპირდაპირე ამ ადგილის დასაკავებლად დაიწყებს“.

გუშინდელი ოფიციალი ცნობა გვატყობინებს, რომ ავსტრიელებს სასტიკი იერიშის შემდეგ პრედეალთან იძულებული გაუხდია რუმინელები ამ ადგილისათვის თავი გაენებებინათ და

უკან დაეხივნათ. ამავე დროს რუმინეთის ჯარს მიუტოვებია რამოდენიმე ადგილი, როგორც კიმპოლუნთან, ისე დიულიას ველში და შიგნით გადასულა. კიმპოლუნგი რუმინეთის ქალაქია და მდებარეობს საზღვრიდან 18—20 ვერსზე. როგორც მოსალოდნელი იყო, ორი სამი დღის სიჩუმის შემდეგ, ფალკენჰაინმა კვლავ დაიწყო შეტევა და ახლა უფრო საგრძნობლად წინ იწევს. მაკენზენიც აღარ სცხრება და გუშინდელი ოფიციალი დეპეშის ცნობით ჩერნოვოდი და ტასავლუს ტბა ხელთ უგდია. ამ ადგილების დაპყრობით შეიძლება დობრუჯის საკითხი გადაწყვეტილად ჩაითვალოს.

საზოგადოთ, რუმინეთი რაც დრო გადის უფრო და უფრო განსაცდელში ვარდება. მოკავშირეთ კარგათ ესმით დღევანდელი მომენტი და როგორც ეტყობათ სამაგიერო პასუხისათვის მტკიცეთ ემზადებიან. დასავლეთ ბრძოლის ველზე, ფრანგებს ვერდენთან გერმანელებისთვის დიუმონის ფორტი წაურთმევიათ, ამავე დროს სარაილის ჯარსაც დაუწყვია შეტევა და საგრძნობლადაც ამარცხებს ბოლგარელებს. ჩვენ გვგონია რომ, დაბოლოს მოკავშირეები აიძულებენ გერმანელებს ყურადღება სადმე სხვა ასპარეზზე გადაიტანონ და ამით შეასუსტონ მათი იერიშები რუმინეთის წინააღმდეგ.

X.

ომის დეპეშები

13 ღვინობისთვე.

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. დორნა ვატრას სამხრეთით ჩვენმა მოწინავე რაზმებმა მოპირდაპირე მაღლობებიდან განდევნეს და ორი ტყვიისმფრქვეველიც ხელთ იგდეს.

კავკასიის ასპარეზი. გიუმიშხანის დასავლეთით ოსმალების მცირე რაზმის შემოტევა სროლით შევაჩერეთ.

რუმინეთის ასპარეზი. ჩრდილო-აღმოსავლეთის ასპარეზი. მოპირდაპირემ პრედეალთან, კრონშტატის სამხრეთით 18 ვერსზე, რუმინელების ჯარს შემოუტია, შემოუტია აგრედვე ტირგულუკის ველსა და კიმპოლუნგთან, აგრედვე დიიულიას ველში და რუმინელების ჯარი იძულებული ჰყო უკან დახეულიყო.

დობრუჯა. მტერს მთელ ბრძოლის ხაზზე იერიშები მოაქვს. ჩვენი და რუმინეთის ჯარები იძულებული გახდნენ ბრძოლით დაეხიათ ჩრდილოეთისაკენ და ჩერნოვოდი-ტასავლუს ბრძოლის ხაზი მიეტოვებინათ.

ათინა. სოფიიდან იტყობინებიან: ნამინისტრალ გენადიევს ღალატისა და მექრთამეობისათვის 10 წლით კატორღა მიუსაჯეს.

ლონდონი. შვაბენსა და ლეზარის შუა ბრძოლის დროს ტყვედ წამოვიყვანეთ 1000 ჯარისკაცი. ჩვენი ზარალი 1200 კაცს უდრის.

ქრისტიანია. უკანასკნელ დღეებში ნორვეგიის 14 გემი დაუტყვევებიათ და დაუღუპავთ, რომელთა საერთო ღირებულება 8 მილიონ კრონს უდრის (3 მილ. 20 ათას მანეთს). ზოგი მათგანი ნორვეგიის სანაპიროებში დაუღუპავთ. ასეთმა ზარალმა დიდად ააფორიაქა ხალხი.

პარიზი. დღის ოფიც. ცნობა. სომას ასპარეზზე, ბიაშის და აბლენკურის მიდამოებში ცხარე ბრძოლაა ზარბაზნებით. ქვეითა ჯარი არ დაძრულა.

მახლობელ აღმოსავლეთში. დოირანის მიდამოებში ზარბაზნები ორივ მხრივ მედგრად მოქმედებდა. მუცკოვოს მიდამოში ინგლისელებმა აიღეს მტრის სანგარი, დაატყვევეს 20 გერმანელი მეომარი. მდ. ჩესნის მისახვევთან ბულგარელების ახალი იერიშები სერბიელებმა მოიგერიეს. სერბიელებმაც შეუტიეს და დაიპყრეს 800 ადლის სიღრმე მტრის სანგრები, დაატყვევეს 50 კაცი. ვერდენის ასპარეზზე 20-ჯერ მოხდა ჰაერში შეჯახება. გერმანელების 3 საფრენი ჩამოვაგდეთ, ეფზასში ფრანგის მფრინავმა ერნეს მახლობლად გერმანელების საფრენი ჩამოაგდო. 10 ღვინობისთვეს ფრანგების მფრინავებმა 3 ყუმბარა ესროლეს ესპენკურის სადგურს, ხოლო 20 ყუმბარა მტრის ბინაკს აზანში.

ლონდონი. საადმირალო იტყობინება: ოსტენდეს გასწვრივ ჩვენმა საზღვაო საფრენმა 10 ღვინობისთვეს იერიში მიიტანა მტრის ჰიდროპლანზე. ინგლისის მფრინავს მოპირდაპირის 4 მფრინავი მიესია, მაგრამ მოიგერია და ერთი საფრენი გაანადგურა.

რომი. ჩვენმა მფრინავმა ბილიგის მახლობლად მტრის საფრენი ჩამოაგდო. ავსტრიელების ჰიდროპლანებმა ტოლიამენტენეს შესართავთან კაორლეზე ყუმბარები ჩამოჰყარეს და ზიანიც მიაყენეს. ფრანგების მფრინავმა მტრის ერთი საფრენი გაანადგურა.

პარიზი. საღამოს ცნობა. ვერდენის სიმაგრეთა მიდამოებში ჩვენმა ჯარმა მაასის მარჯვენა ნაპირას, ზარბაზნის დაშენის შემდეგ, იერიში მიიტანა. მტრის ბრძოლის ხაზი 7 ვერსის სიგანეზე გავარღვიეთ. შუაგულში 3 ვერსზეა ბრძოლის ხაზი გარღვეული. სოფელი და სიმაგრე დიუმონი ჩვენ ხელთ არის. ოშის სიმაგრის მარცხნივ ჯარი გასცდა სიმაგრეებს და ტიომონის ფერმას, გედერმენის ქვის სამტვრევი დაიპყრო და ბრადუმონის გზის დასწვრივ გამაგრდა. სიმაგრის მარჯვენა მხარეს ჩვენი ბრძოლის ხაზი მიდის კეიეტის ტყის ჩრდილო ნაწილზე და ოკრიდან სოფ. ვომდეა გაჭიმული ფომენის წარაფის აღმოსავლეთ ნაპირამდე, შემდეგ ჩრდილოეთისაკენ უხვევს შენუას ტყიდან დანლუს ბატარეამდე.

ჯერ აღნუსხულია 3,500 ტყვე, ამათგან 100 ოფიცერია.

ჟურნალ-გაზეთებიდან

რუსეთის ასპარეზი.

„ბ. ვედ.“-ის სამხედრო მიმომხილველი კ. **შუმსკი** სწერს: კისელინის მიდამოებში გერმანელების შემოტევას მზად აქვს ზამთრისათვის უფრო მარჯვე სამოქმედო გეზი ხელთ იგდოს. კისელინის სამხრეთით მოპირდაპირე თავგამოდებით უტევს სვინიუხის აღმოსავლეთ მიდამოებს. სვინიუხაც ვლადიმირ-ვოლინის გზითაა მიმართული. აქაც იგივე მიზანი აქვს მოპირდაპირეს, უკან დაგვახეინოს და ზამთრისათვის უფრო მარჯვე ადგილებზე დაბანაკდეს ამ მიდამოების უფრო ქვემოდ კუროპატნიკის ჩრდილოეთით და სვისტელნიკის სამხრეთითაც ბრძოლაა. აქ ოფიციალი ცნობით „ცხარე ბრძოლაა“ გაჩაღებული, მოპირდაპირე მჭიდროდ შეჯგუფებული რაზმებით მოდის, თუმცა უშედეგოდ. ეს არის მიდამოები ბარზეჟანის, კუროპატნიკი ბარზეჟანის ჩრდილოეთით არის, სვისტელნიკი ბარზეჟანის სამხრეთით. ბარზეჟანი ეხლა მთავარი კვანძია მოპირდაპირის მოქმედებისა გალიციის ასპარეზზე. აქ მოპირდაპირე თავგანწირვით იბრძვის არა მარტო იმისათვის, რომ საზამთროდ უფრო მარჯვე ხაზზე გადავიდეს, არამედ იმისათვისაც, რომ აქ რუსის ჯარს შეუძლიან ზურგიდან მოექცეს მტერს. ამისათვის მოსალოდნელია, რომ ამ მიდამოებში ბრძოლა ხანგრძლივი და მედგარი იქნება.

„რუს. ინვ.“ სამხედრო მიმომხილველი **გ. კლერჟე** სწერს: გალიჩ-ბრჟეჟანის ხაზზე ბრძოლა წინანდებურის სიმკაცრით გრძელდება. დაბა კუროპატნიკის ჩრდილოეთით მოპირდაპირეს განუწყვეტელი და მედგარი იერიშები მოაქვს. ასეთივე ცხარე ბრძოლაა ბრჟეჟანის სამხრეთითაც. აქ ქარიშხლისებურ ზარბაზნის ცეცხლის შერმე გერმანელები სწრაფი იერიშით წამოვიდნენ სოფ. სვისტელნიკის სამხრეთით. აქ ბრძოლა ჯერ არ დასრულებულა და უნდა ვიფიქროთ, რომ მოპირდაპირე დიდის თავგამოდებით განაგრძობს შემოტევას, მით უმეტეს, რომ იგი მჭიდროდ შეჯგუფებული რაზმებით გვაწვება.

„უტრო როს“-ის სამხედრო მიმომხილველი **პ. ბურსკი** სწერს: დიდი თავგანწირული ბრძოლა გაჩაღდა ბრზეჟანიდან გალიჩის მიდამოებამდე 45 ვერსის მანძილზე. კუროპატნიკისა და სვისტელნიკის მიდამოებში მოპირდაპირე გააფთრებული იერიშებით მოდის, მაგრამ უშედეგოდ.

გოლშოვცის მიდამოებში გერმანელებს 3 გვარდიის დივიზია გადმოუყვანიათ, მათი აქ ყოფნა 5 ღვინობისთვის ბრძოლის დროს შევამჩნიეთ.

რუმინეთი.

რუმინეთის დესპანის კ. დიამანდის აზრი. პეტროგრადში მყოფი რუმინეთის დესპანი კ. დიამანდი ბუქარესტიდან პეტროგრადს დაბრუნდა და „დენ“-ის თანამშრომელს ი. დ-ს თავისი შთაბეჭდილებანი გაუზიარა: რუმინეთმა რომ ომი გამოაცხადა, ბუქარესტში გახლდით. ვერ აგიწერთ აღფრთოვანებას რუმინეთის საზოგადოებისას გერმანეთის წინააღმდეგ ამხედრების გამო. რუმინეთის საზოგადოება მოუთმენლად ელოდა ავსტრია-უნგრეთთან ბრძოლას, რომელიც 1914 წ. მარიამობისთვიდანვე გადაწყვეტილი იყო. ჩვენში ეჭვი არავისა ჰქონია, რომ რუმინეთის ეროვნულ იდეალების განხორციელება მხოლოდ და მხოლოდ მოკავშირეთა დახმარებით შეიძლება. მაგრამ დროს შერჩევა უნდოდა. რუმინეთი როგორ გამოვიდოდა საბრძოლველად იმ ხანებში, როდესაც რუსეთს ბუკოვინასა და გალიციაში მტერი აწვებოდა. რაწამს ბრუსილოვის ჯარი რუმინეთის საზღვრებამდე მოვიდა, ჩვენი ომში ჩარევაც აუცილებელი გახდა. რუსეთ-რუმინეთის ბრძოლის ხაზი ეხლა გაერთიანებულია რიგიდან დობრუჯამდე. გამარჯვება თუ დამარცხება რომელიმე ადგილას ორივე სახელმწიფოს სამხედრო მოქმედებაზე ერთგვარ გავლენას იქონიებს. მას მერე რაც სალონიკის გზით რუმინეთში სურსათ-სანოვაგის შეზიდვა მოისპო, რუმინეთში ყოველისფერი რუსეთიდან მოდის და გაზიდვა რუსეთით სწარმოებს.

ავსტრია-გერმანეთსა და ბულგარეთს, როგორც სჩანს, განზრახვა აქვთ რუმინეთს სერბეთის დღე დააყენონ. ისინი ცდილობენ მუხრუჭში მოგვამწყვდიონ და ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეს დაეპატრონნენ. ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთის მიჯნებთან მოპირდაპირეს 400 ათასი მეომარი ჰყავს და მედგრად, თავგამოდებით უტევს რუმინელებს. ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე ბრძოლა თითქმის ყველგან რუმინეთის საზღვრებთან სწარმოებს, მხოლოდ რუკარის მიდამოებში 5 ვერსით დავიხიეთ შუაგულ რუმინეთისაკენ. ჩვენ ორს ასპარეზზე გვიხდება ბრძოლა, რუმინეთის ჯარისათვის კი ეს მეტისმეტად ძნელი საქმეა..

ბუქარესტში 5 კვირა დავყავ. ამ ხნის განმავლობაში არ მახსოვს არც ერთი დღე, რომ მტრის მფრინავებს რამდენიმე ყუმბარა მაინც არ ჩამოეგდოთ ქალაქში და უმწეო მცხოვრებნი არ ემსხვერპლათ.

საგულისხმო მოვლენა.

გაზ. „რეჩ“-ის რედაქციაში ერთს მანდილოსანს წარუდგენია კონვერტი ინგლისიდან მიღებული წერილისა. კონვერტზე ინგლისური მარკები ყოფილა დაკრული ინგლისურ ბეჭედ დაკრული. კონვერტს დაწებებული ჰქონია ქაღალდი შემდეგის გერმანულის წარწერით: „გახსნილია სამხედრო ცენზორის მიერ და დაბეჭდილი ფოსტის მოხელეების მიერ“. „რეჩ“-ის რედაქცია განცვიფრებაშია მოსული ამ გარემოებით და სწერს: ნუ თუ ეს წერილი გერმანელებს რომელიმე გემის დატყვევების დროს მოხვდათ ხელში და ფოსტის გადარჩევის დროს ისევ გამოჰგზავნეს დანიშნულ მისამართითაო.

ცნობა ბუქარესტიდან.

„რეჩ“-ის თანამშრომელი კარინი, ბუქარესტიდან იტყობინება: ადგილობრივი გაზეთები აღიარებენ, რომ რუმინელებმა მოპირდაპირის ახალ ჯარების წინაშე რამდენიმე ადგილას უკან დაიხიეს, მაგრამ სრულს იმედს გამოსთქვამენ, რომ აურაცხელ მსხვერპლის მიუხედავად ჩრდილოეთის ასპარეზზე საქმე კარგად დატრიალდება. ამის გამო მცხოვრებლებს მოუწოდებენ სიდინჯე გამოიჩინონ.

„ტიფ. ლისტოკ“-ის ცნობა.

„ტიფ. ლისტოკ“-ს სარწმუნო სამხედრო წრეებიდან შეუტყვია: დღევანდელი ბრძოლის დიდგულად რუმინეთია მიჩნეული. ბრძოლა სწარმოებს ტროტუსისა, ოიტუზისა და სლანიკის ველებში. პირველი ორი მიმართულება მოპირდაპირეს ტროტუსისაკენ გაიყვანს. უფრო დიდ საფრთხეს მდ. სლანიკის ველის მიმართულებით მოქმედებაა, რადგანაც ეს მდინარე ბუზეს ერთვის. ყველა გეზებზე რუმინელების საქმე მარჯვედ მიდის. ცოტა უხეიროდ მოეწყო საქმე დობრუჯაში. აქ ბულგარელებს და გერმანელებს უეჭველია გამარჯვება ერგოთ და კონსტანც-ჩერნოვოდის რკინის გზის ლიანდაგი საფრთხეში ჩავარდა. ამ ლიანდაგის დაჭერაა მაკენზენის უმახლობელესი მიზანი. მაგრამ არა თუ ამ ლიანდაგის დაჭერა, თვით ჩერნოვოდისა და კონსტანცის აღებაც და ჩვენი იქიდან წამოსვლაც ჯერ კიდევ არა სწყვეტს დობრუჯის ბედს. უმთავრესი საქმე სტრატეგიისა და ტაქტიკისა ცოცხალი ძალის შემუსრვაა. მაკენზენის გაერთიანებული ჯარიც ვერ შესძლებს რუსების, რუმინელების და სერბიელების ჯარის გამუსვრას. მოკავშირეთა ჯარი ბრძოლით იწევს დროებით უკან და მტერს დიდ ზარალს აყენებენ და ცოცხალ ძალას უმუსრავენ.

პ. ბურსკის აზრი.

22 მაისიდან 18 მკათათვემდე, მას მერე რაც რუსეთის ჯარი ბრუსილოვის ხელმძღვანელობით მოპირდაპირეს მიესია, ხოლო მოკავშირეთა ჯარი მდ. სომას მიდამოებს მიაწყდა, გერმანელებს საშუალება მიეცათ ევარაუდნათ, თუ რომელ ბრძოლის ხაზზე როგორი ძალა უნდა დაეხვედრებინათ მოპირდაპირესათვის, რომ დაჭერილი ადგილები ხელიდან არ გამოსცლოდათ.

სანამ რუმინეთი ომში ჩაერეოდა მოპირდაპირემ კარგათ გაითვალისწინა მოსაგერიებელი და შესატევი ადგილები ბრძოლის ველისა და ჯარებიც ისე დაანაწილა.

რუმინეთის ჩარევის შემდეგ გერმანელებმა ერთი თვის განმავლობაში შეჰქმნეს მთელი არმია და ფალკენჰაინის ხელმძღვანელობით ტრანსილვანიისკენ გაისტუმრეს. სუსტ და უმოქმედო ბრძოლის ხაზზე მათ ძლიერი ზარბაზნები დააწყვეს და მაგარი სანგრები გამართეს, ისე მოაწყეს ბრძოლის ხაზი, რომ მას ხანგრძლივ გაეწია საველე სიმაგრეების მაგიერობა. რა დიდ მნიშვნელობას აძლევს მოპირდაპირე ზარბაზნის ცეცხლს და სასროლ მასალას შემდეგი მაგალითიდანაც ნათლად სჩანს: ინგლისელებს შემთხვევით ხელში ჩაუვარდათ მოხსენება გერმანელებისმეოთხე კორპუსის უფროსის გენერალ სტიკსტ ფონ არნიმისა, საიდანაც სჩანს, რომ მდ. სომას ბრძოლის ხაზზე გერმანელების საველე ბატარეა დღე-ღამეში ისროდა 3500 მოშხამულ გაზით გატენილ ყუმბარას, ესე იგი საათში 145 ყუმბარას ისროდა 4—6 ზარბაზანი. გენერალ სტიკს ფონ-არნიმი კი მოხსენებაში სასროლ მასალის სიცოტავეს უჩივის.

ინგლისელების ახალი ჯავშნიანი ავტომობილი.

„უტრო როსიი“-ს თანამშრომელი **ნ. მინსკი** პარიზიდან მოწერილ წერილში გადმოგვცემს იმ საშინელ ახალ გამოგონებულ ჯავშნიან ავტომობილის აღწერილობას, რომელსაც „ტანკა“ ეწოდება. ინგლისელებს პირველად გაუყვანიათ ასეთი ავტომობილი სომას მიდამოებში, ტიეპვალის სამხრეთ-აღმოსავლეთით ამ სამი კვირის წინად. ტანკი ხევხუვებშიაც ისე დადის, როგორც ვაკეზე, გზა და გზა ტყესა ჰჩეხავს, შენობებს აქუცმაცებს. როდესაც მტრის თხრილებს მიუახლოვდება, საიდანაც აუარებელი ტყვია-ყუმბარას დააყრიან ხოლმე, არხინადა გაჩერდება, დაალებს ხახას და რამდენიმე წუთში ნაცარმტვრად აქცევს მიდამოს და სამარისებურ მყუდროებას დაამყარებს. ასეთ ავტომობილებს სხვა და სხვა სახელებს უწოდებენ: ვეშაპი ხმელეთის დრედნოუტი და სხვა, მაგრამ უფრო ხშირად უწოდებენ „ტანკ“-ს (tank), რაც ნიშნავს რეზერვუარს. ჯარის კაცები ეძახიან „შე“-ს. მისი შინაგანი მოწყობილობის გამხელა აკრძალულია და რაკი ჯარის კაცი შიგ მოთავსდება, იგი უკვე განწირულად ითვლება, რადგანაც თუ ისე მოეწყო საქმე, რომ „ტანკ“-ი მტერს ჩაუვარდა ხელში, ნაბძანები აქვთ ააფეთქონ, რომ მისი მანქანების მომართულობა არავინ გაიგოს.

უკანასკნელი დეპეშები

საფრანგეთის გაზეთის ცნობით რუმინეთის და სალონიკის ფრონტზე მოწინააღმდეგეს ნახევარ მილიონზე მეტი მებრძოლი ჰყოლია. ბულგარელებს გაუთვალისწინებიათ-რა თუ მათ დამარცხებას რა საშინელებაც მოჰყვება, მეტის სიმკაცრით იბრძვიან. თხრილები გერმანელთა გეგმით გაუყვანიათ. მათ ოფიცერთა შორის მრავალი გერმანელია. ბულგარელები უეჭველად დიდს ძალას წარმოადგენენ, რომელსაც სათანადო ანგარიში უნდა გაეწიოს.

სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი დღეები *)

(ისტორიული ამბავი)

მღელვარება დაიწყო სულ უბრალო მიზეზის გამო.

ჩიქოვანმა სოფ. სალხინოში მოინდომა სასახლის აშენება. სამუშაოდ საუფლისწულო გლეხებს დაუძახა, რომლებიც თავის ხარჯით უნდა მოსულიყვნენ სამუშაოთ. თუმცა ეს წესი ეწინააღმდეგებოდა მათ წინაპრების ჩვეულებას, მაგრამ ქედმოხრილი გლეხები მაინც გამოცხადდენ ჩიქოვანთან. როდესაც გლეხებმა თავისი სიმინდი ბატონის წისქვილზედ დასაფქვავად წაიღეს, წისქვილში მათ მინდი გადაახდევინეს. ეს გლეხებმა ვეღარ მოითმინეს და მოითხოვეს მინდი უკანვე დაებრუნებიათ. ჩიქოვანმა უარი უთხრა. გლეხებმა საჩივრით თავ. გრიგოლს მიმართეს. მან უთხრა გლეხებს, რომ არა მაქვს მე ნება მამულების საქმეებში ჩავერიო, ამისათვის თითონ დედოფალს მიმართეთ საჩივრითაო. დედოფალი რუსეთში იყო, გლეხებმა სამუშაოზედ ხელი აიღეს დედოფლის დაბრუნებამდის. ჩიქოვანმა თავდაპირველად მოინდომა ძალა ეხმარა, მაგრამ ვერას გახდა, მის ბიჭებს გლეხებმა ძალზე სცემეს. ამის შემდეგ გლეხები, რიცხვით რამდენიმე ათასი, შეიყარნენ სასწაულ-მოქმედ ხატთან და ერთმანეთს შეჰფიცეს ერთად ემოქმედათ და არ ეღალატებინათ ერთმანეთისათვის და არ აღესრულებინათ არავითარი მოთხოვნილება სახლთუხუცესის, ვინემ რუსეთიდან არ დაბრუნდებოდა დედოფალი.

ელდა ნაცემი თავ. ჩიქოვანი თავ. გრიგოლთან გაიქცა და მუხლმოდრეკით ეხვეწებოდა იარაღით ჩაექრო მღელვარება. აბა წარმოიდგინეთ ასეთი ყურჩობა გლეხებისა, რა გუნებაზედ დააყენებდა თავ. ჩიქოვანს, რომელიც მხოლოდ, ბრძანებას იყო მიჩვეული და უარი არც კი იცოდა თუ იცოდნენ გლეხებმა. თავ. გრიგოლმა ჩიქოვანს უთხრა, ჯერ უნდა გავიგო თუ ვინ არის მართალი და მერე კიდევ მე არა მაქვს ნება და ბრძანება, რომ მაგ საქმეებში ჩავერიოვო.

სახლთუხუცესს ჩიქოვანს რაღა უნდა ექნა, ყურებ ჩამოყრილმა სასახლის კეთებაზე ხელი აიღო და დედოფლის მობრძანებას უცდიდა. ამ გლეხების გაფიცვამ დიდი გავლენა იქონია სხვა თავადების გლეხებზედაც. ბოლოს მთელი სამეგრელოს გლეხობა ამბოხების ალმა მოიცვა. მათ ერთმანეთს ფიცი მისცეს არ აღესრულებინათ არავითარი მოთხოვნილება მებატონეებისა, ვინემ არ მოსპობდნენ ზოგიერთ მოთხოვნილებებს და უზომოთ ცარცვა-ყვლეფას. თავად-აზნაურობა საძაგელ მდგომარეობაში ჩავარდა, გლეხების გაფიცვა მათ დიდ ზარალს აყენებდათ. არეულობის მოსასპობლად მათ ძალაც არ შესწევდათ და არც მაინცა და მაინც თანაუგრძნობდენ ერთმანეთს. ზოგი თავადები, მაგალითად, მოწინავე პარტია დადიანებისა, მოხარულიც იყვნენ, რადგანაც ამ აღელვებაში ისინი ხედავდნენ დადიანის მთავრობისა და ბატონობის მოსპობას, ზოგი კიდევ ამ არეულობას უცქეროდა როგორც სამეგრელოს ახალი ხანის დასაწყისს და ძველი წეს წყობილების მოსპობას. ზოგიერთმა თავადებმა, მაგ. ელიზბარ დადიანმა, ფალავეებმა, მხეიძემ, მიქაძემ, დგებუაძემ და სხვ. კიდევაც შეადგინეს ეგრედ წოდებული „რუსული პარტია“, ამას აღარც ფიცავდნენ და ცდილობდნენ როგორმე ჩქარა მოესპოთ სამეგრელოს ავტონომია. *)

1857 წელს, მაისში რუსეთიდან სამეგრელოში დაბრუნდა დედოფალი ეკატერინე ალექსანდრეს ასული. მას პეტროგრადშიაც მისდიოდა ცნობები თავის სამთავროს შესახებ, მაგრამ ამის მსგავსი, რაც კი თავის თვალით ნახა ვერც კი წარმოედგინა.

თითქმის მთელ სამეგრელოს ხალხს მიეტოვებია თავისი სახლკარი, ცოლებითა და ბავშვებით აყრილიყვნენ და ერთი ადგილიდან მეორეში გადადიოდნენ, თან მიჰყავდათ მებატონეების მსახურნიც, და ხელს აღებინებდნენ მუშაობაზედ და მყუდრო ცხოვრებაზედ იმათაც კი, ვისაც არაფერი ჰქონდა საჭირბოროტო სასაჩივრო. მთელი მეამბოხენი დაიყვნენ რამდენიმე ნაწილად. ყველა მათგანს თავიანთი უფროსი ჰყავდათ. ყველა მეამბოხეთა მეთაურად და უფროსად არჩეულ იქმნა ვინმე მჭედელი მიქავა, კაცი მეტად ჰკვიანი და გონიერი. მას სახელად უწოდეს „კესარი“. მეამბოხენი არავითარ უწესოებას, არც ცარცვასა და და არც ძალმომრეობას, არ სჩადიოდნენ, მათ ხელში ეჭირათ ხატები და ისე დადიოდნენ, მხოლოდ შეფიცულნი იყვნენ, რომ არ ეღალატათ და სიმტკიცით აღესრულებიათ ის მოთხოვნილებანი, რასაც კი მათი მოთავენი მოითხოვდნენ. ბრბო დადიოდა და იმეორებდა: „მედიდურობა—ცოდვაა“, ყველა ხალხი ძმებია“.**)

დიდის ხნის ყოყმანის შემდეგ დედოფალმა გაბედა და გავიდა მეამბოხე ბრბოსთან, რომელნიც მისი საუფლისწულო გლეხებისაგან შესდგებოდა. გლეხებმა დიდის ყვირილით წარუდგინეს მას თავიანთი მოთხოვნილება. დედოფალმა გაუცხადა გლეხებს, რომ მე არ შემიძლია გავარჩიო თქვენი საჩივარი ვინაიდგან თქვენ მე მემუქრებითო. მხოლოდ თუ წახვალთ თქვენ-თქვენს სახლებში და დაწყნარდებით, მაშინ კი ყველას სამართლიანად დავაკმაყოფილებო.

ბრბოს მეთაურმა გლეხმა თოდუამ და სოფლის მამასახლისებმა დედოფალს შეჰფიცეს მორჩილება და აღუთქვეს მოველოდებით თქვენს განაჩენსაო. ამ ნაირად ამბოხება საუფლისწულო გლეხებში თითქმის მიწყნარდა, მაგრამ სამაგიეროთ მდ ხოპას გაღმა მეამბოხენი თუ მატულობდნენ თორემ არ ცხრებოდნენ. მათზედ დედოფალს თითქმის გავლენაც არა ჰქონდა. დედოფალმა მათთან ეპისკოპოსი და თავ. გრიგოლი გაგზავნა, მაგრამ ბრბომ ლანძღვითა და გინებით გამოისტუმრეს მოციქულები.

რაღა დარჩენოდა დედოფალს, უნდა ძალით ჩაექრო ამბოხება, მაგრამ რადგანაც საკუთარი ძალა არ შესწევდა ამისათვის მისწერა ქუთაისის გუბერნატორს და სთხოვა რამდენიმე როტა სალდათი მიეშველებინა.

ქუთაისში მაშინ გუბერნატორად იყო ცნობილი ნ. პ. კოლიუბაკინი, რომელმაც თავიც კი არ შეიწუხა სამეგრელოში მომხდარ არეულობით.

მის მაგიერ, რომ დახმარება გაეწია დედოფლისათვის მან მოხსენება შეადგინა და წარუდგინა 1856 წ. საერო სამართველოს უფროს ბებუთოვს, რომ მისთვის გაეგზავნათ ინსტრუქცია, რომ მას კანონიერის ძალით შესძლებოდა ჩარეულიყო ავტონომიურ სამეგრელოს საქმეებში. ინსტრუქცია არ მიუღია—კოლიუბაკინს, მაგრამ სამაგიეროთ წერილი მიიღო დედოფლისაგან, სთხოვდა გაეგზავნა სამასი ყაზახი რუსი ანუ რამდენიც შეძლებელი იქნებოდა. და თან კარგი თაოსანი ოფიცერი გაეყოლებინა ცალკე ინსტრუქციით აღჭურვილი. აფიცერს უნდა აღესრულებინა მხოლოდ დედოფლის ბრძანება. იარაღის ხმარება, სწერდა დედოფალი, შეიძლება მხოლოდ ჩემი ბრძანებითო.

გარდა ამისა დედოფალი ეკატერინე კერძო წერილით სთხოვდა კოლიუბაკინს მისულიყო მასთან მეგობრულ რჩევისათვის.

მეორე დღეს კოლიუბაკინმა ჯარი გაგზავნა სამეგრელოსაკენ და თითონაც ოცდა ათი ყაზახი რუსითა და ორი მოხელის, ერისთავითა და მიქელაძით, თანხლებით, სენაკისაკენ გასწია.

კოლიუბაკინმა დედოფალი და ზოგიერთი თავადები ინახულა. მათგან მან გაიგო, რომ 25 ვერსის მოშორებით შეკრებილიყო ძლიერი, რამოდენიმე ათასი მეამბოხე თვითონ მიქავას მეთაურობით. კოლიუბაკინი ყაზახებითა და თავისი მოხელეებით მეამბოხებისაკენ გაემართა. გზაში მას წინ შეხვდა მეამბოხეთა დიდი პარტია თოფებითა და კეტებით შეიარაღებული.

კოლიუბაკინი ბრბოს მიუახლოვდა და შეჰყვირა: „დაიჩოქეთ, ქუდები მოიხადეთ, მიქავა აქ მოდი“.

ბრბომ მუხლი მოიყარა და პირჯვრის წერა დაიწყო. მიქავაც კოლიუბაკინთან მივიდა და თავდაბლად თავი დაუკრა. ბრბო ხმა მაღლა ყვიროდა: „დაგვიცავი ჩვენ, იქონიეთ შებრალება!“

რასაკვირველია მეამბოხეთ არ ჰქონდათ აზრათ ძალით ემოქმედათ და ეს იყო მიზეზი, რომ ესე მოიქცა. კოლიუბაკინმა მიქავასა და მის სამს თანაშემწეს საუბარი დაუწყო.

მეამბოხეთა მეთაურებმა მეტად მორჩილად, თავდაბლად და მასთანვე გულის მომწველი კილოთი აღუწერეს გლეხების მდგომარეობა. „გმადლობთ შენ, რომ მოდი ჩვენთან ჩვენო მხსნელო. ჩვენ ვხედავთ და გვესმის, რომ იმერეთში ყოფილა სამართლე, მაგრამ რისთვის მას არ უნდა, რომ გადმობიჯოს ცხენის წყალს, ჩვენ ერთმანეთს შევფიცეთ 20,000 კაცმა და ყველას გვინდოდა ჩამოსვლა ქუთაისში“.

ასეთმა გულწრფელმა საჩივარმა და თხოვნამ კოლიუბაკინს გული მოულბო. კოლიუბაკინმა მათ აღუთქვა, რომ თქვენი საჩივარი მოხსენდება დედოფალსა და აგრეთვე უმაღლეს უფროსსაც, მხოლოდ თქვენ უნდა წახვიდწამოხვიდეთ თქვენს სახლებში, ხელი მიჰყოთ მუშაობას და რომ სიჩქარით იქმნეს გამოძიებული ყველა უბედურება და თავგადასავალი და აგრეთვე შუამავლად თქვენსა და თქვენ ბატონებს შორის ვნიშნავ ჩემს მოხელეებს თავ. ერისთავსა და მიქელაძესო.

ავ. აბესაძე.

(დასასრული იქნება)

---

*) იხ. „საქართველო“ № 227.

*) აქტები ტ. П, № 803, Бороздинъ, вопоминаніе о Мингреліи и Сванетіи и упраздненіе двухъ автономіи.

**) ეს სიტყვები დასავლეთიდან იყო შემოტანილი სამეგრელოში, მაგრამ აქ ფესვი ვერ მოიკიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათინიდან იტყობინებიან: თესალიაში ამ ჟამად შიმშილი მძვინვარებსო. თურმე თესალიიდან საბერძნეთის მთავრობის ნებართვით ავსტრო-ბულგარეთში 5 მილიონი ფუთი ხორბალი გაუტანიათ.

—

რადგანაც სათბობი და გასანათებელი მასალა ინგლისში ძალიან შემცირებულა, მთავრობას დაუდგენია ყველა დუქნები და ქარხნები საღამოს 7 საათზე დაიკეტოს.

—

მატენის ცნობით რუმინეთში თავი მოუყრიათ გერმანელების, ბულგარელების და ავსტრიელების სრულის შეიარაღებით 550 ათას მეომრისთვის. გაზეთი ამბობს, რუმინეთი რომ ომში არ ჩარეულიყო, ამოტელა ჯარს მოაწყვეტდნენ ან რუსეთის და ან საფრანგეთის ასპარეზს. რუმინეთს ამ მხრივ დიდი სამსახური გაუწევია მოკავშირეთათვის.

—

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან: გერმანელები და ავსტრიელები დიდძალ მაშველ ჯარს გზავნიან ორივე ბალკანეთის ფრონტზე: დობრუჯისა და სალონიკის მიდამოებისაკენ.

—

„თბ. ლისტოკს" სანდო სამხედრო წრეებისგან გაუგია, რომ კონსტანცის და მეჯიდიეს მიტოვება წინდაწინვე მოსალოდნელი იყო, რადგანაც მაკენზენი აქ 50 ვერსის მანძილზე ათ კორპუსს ამოქმედებდა. სამხედრო პირთა აზრით მაკენზენი ჩრდილოეთისაკენ აღარ წავა, რადგანაც ჭაობიანი ადგილებია, არამედ გამაგრდება და დაუცდის ფალკენჰაიმის მოქმედებას ტრანსილვანიაში.

—

ზუბსკის აზრით კონსტანცს მხოლოდ იმდენად ჰქონდა მნიშვნელობა; რამდენადაც დობრუჯს იცავდა შესევისაგან.

—

თესალიასა და ეპირში დიდი მოძრაობა დაიწყო. მიწათ-მოქმედება შეჩერებულია; ამის გამო ძველი საბერძნეთი უხორბლოდ რჩება.

—

ჰინდენბურგი ლეგიონის უფროსის პოლსუდცკის თანხლებით კრაკოვსა და ვარშავაში მივიდა და ბრძანება გასცა პოლონეთის ლეგიონების დასაწყობად. პოლონეთის ყველა ლეგიონები პოლონეთის სამეფო კორპუსებად გადააკეთეს და სახელი დაარქვეს: პოლონეთის არმია. ამბობენ ეს არმია ბავარიის ჯარის მაგიერობას გასწევსო.

—

ბელგიის ქალაქ გენტში ფლამანდიური უნივერსიტეტი გაიხსნა. დღესასწაულს დაესწრო სამხედრო მართველი ბელგიისა გენერალი ბისინგი, რექტორი ჰოფმანი და 39 პროფესორი. ცნობილია, რომ ომის დაწყებამდე ბელგიაში მხოლოდ ფრანგული უნივერსიტეტები იყო და ფლამანდიელები ამაოდ სცდილობდნენ უმაღლესი სასწავლებლის მოპოებას.

დეპეშა

თელავი. სრულს თანაგრძნობას ვუცხადებთ ბ-ნ ლუკაშვილს, ხოლო ღრმა გულისწყრომას 5 ღვინობისთვეს „სახალხო ფურცელში" მოთავსებულ წერილის გამო, რომელიც თელავის საკრედიტო ამხანაგობას შეეხებოდა. წერილი ცილისწამებაა. გამოწვეულია ორის ადამიანის ინტრიგით. ამორჩეულთა და მთავრობის წარმომადგენელთა მიერ მთელის თვის რევიზიამ ვერავითარი სამსჯავრო ნაკლი ვერ აღმოაჩინა. სირცხვილია, პატიოსანი მუშაკი და მოღვაწე ტალახში ამოსვარონ. დაბეჯითებით ვთხოვთ გაზეთ „საქართველოს" და „სახალხო ფურცელს" გამოგზავნონ თავიანთი წარმომადგენელნი სიმართლეში დასარწმუნებლად.

თელავის ქართველ ინტელიგენციის მონდობილობით ხელს ვაწერთ: ჭავჭავაძე, ჭავჭავაძე, ბურჯულაძე, ახტაფიევი, ყაზახიშვილი, ალადაშვილი, კლიმიაშვილი, ედილაშვილი, გორდეზიანი, ელიზბარიშვილი, პატაშვილი, ჯაფარიძე და სხვ.

ახალი დაწესებულება

მოსკოვის ოლქის სამხედრო სამრეწველო კომიტეტს გარდაუწყვეტია თავისი განყოფილება გახსნას კავკასიაში აქაურ ფრონტის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

ამ საქმის მოთავე მთავარ რწმუნებულად მოწვეულია ჩვენი თანამემამულე, მოსკოვის ცნობილი ნაფიცი ვექილი ევგენი კანდელაკი.

სამხედრო სამრეწველო კომიტეტის კავკასიის განყოფილება პირველად მოაწყობს ფრონტისათვის საჭირო სახელოსნოებს, შემდეგში კი ბ-ნ ევგენი კანდელაკს აქვს აზრად აგრეთვე ჯარისათვის საჭირო ქარხნების მოწყობაც, განსაკუთრებით ისეთნაირის დარგისა, რომელიც დაკავშირებულია საქართველოში არსებულ შინაურ მრეწველობასთან.

ახალი ამბავი

სასახლეში.

✦ მეფის ნაცვალი ბრძოლის ველზე წაბრძანდა.

ქართული დაწესებულებანი

✦ **კოოპერატივ „მეურნეში"** მეხილეთა ამხანაგობა „ქართლმა" კიდევ განაახლა თავის წევრთა ზამთრის ხილით ვაჭრობა.

✦ **კულტურულ - განმანათლებელ საზოგადოებათა კავშირი.** 12 ღვინობისთვეს, საღამოს, გ. ნ. ყაზბეგის თავმჯდომარეობით მოხდა კავშირის გამგეობის კრება. კრებამ განიხილა თავისი სამოქმედო გეგმა და საჭიროდ სცნო უპირველეს ყოვლისა შეჰკრიბოს ცნობები ჩვენი ქვეყნის კულტურულ საჭიროებათა შესახებ. ცნობების შეკრებაში მონაწილეობას მიიღებენ კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულებანი და მათი განყოფილებანი სხვა და სხვა საშუალებით. განხილულ იქმნა აგრეთვე ბ-ნ ეფ. თაყაიშვილის მიერ ამას წინად აღძრული საკითხი, რომ ყველა ქართულ გამოცემათა ათ-ათი ცალი იბეჭდებოდეს კარგს ქაღალდზე, შესანახად. კრებამ ამის შესახებ ის აზრი გამოსთქვა, რომ ვინაიდან გამომცემლებს არ შეუძლიათ მთელი თავიანთი გამოცემა ძვირფას ქაღალდზე ბეჭდონ, შესანახი ცალების გამოცემის ხარჯი კავშირმა იკისროს. ამ საქმის მოსაწესრიგებლად კავშირის გამგეობა საგანგებო კრებას გამართავს ამ დღეებში, რომელზედაც მიწვეული იქნებიან ქართულ ჟურნალ-გაზეთების რედაქციების წარმომადგენელნი, საამხანაგო და კერძო გამომცემლები და სხ. დასასრულ, განხილულ იქმნა საკითხი პროფესიონალ განათლების გავრცელების შესახებ და გადასწყდა, რომ ამ საგანზე 29 ღვინობისთვეს მოხსენების წაკითხვა მიენდოს ბ-ნ ლ. ბოცვაძეს, რომელსაც საკმაო მასალა უკვე შეკრებილი აქვს. მოხსენების მოსასმენლად მიწვეული იქნებიან სხვა და სხვა კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენელნი.

✦ **ს. აჭის სკოლის მასწავლებლად** ბათომის რაიონულ ქ. საქმოქ. საზ. გამგეობას დაუნიშნავს ბ-ნი ხელია.

✦ **ს. ხულოს სახელოსნო სკოლის** ზეინკლად ქ. საქველმოქ. საზ. გამგეობამ დანიშნა ბ-ნი მენთეშაშვილი.

✦ **აჭარელი მოლის მიწვევა.** ვინაიდან სტამბოლში აღზრდილნი და მაჰმადიანობაში გაფანატებული მოლები ქართველ მაჰმადიანებს უკრძალავენ ქართულ ლაპარაკს და დღემუდამ ჩასჩიჩინებენ, რომ მაჰმადიანების დედა ენა არის თათრული, განზრახულია ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების საინგილო სკოლებში აჭარელი მოლის მოწვევა.

✦ **ფქვილის მოსატანად ვაგონების თხოვნა.** ქ. საქვ. საზ. გამგეობამ შემდეგის შუამდგომლობით მიმართა თბ. გუბერნატორს: „მომავალ პურის კრიზისის თავიდან ასაცდენად მსგავსად წინა წლებისა ქ. საქვ. საზ. მთავარ გამგეობამ შეისყიდა ჩრდილო კავკასიაში ფქვილი თბილისის, თელავის და სიღნაღის სოფლების საზოგადოებათა დავალებით მცხოვრებთა, სოფლის კოოპერატივებთა და საგანგებო პირთა დასარიგებლად, რიცხვით 40 ვაგონისა; ეს ფქვილი 20 ვაგონი გულიევს ფირმიდანაა გამოწერილი სტავროპოლიდან და 20 ვაგონი პიშვანოვის ფირმიდან ვორონცოვოში. დასასრულ, საქვ. საზ. გამგეობა სთხოვს გუბერნატორს დაუთმოს 20 ვაგონი ამ ფქვილის მოსატანად.

✦ **ბათომის ამბულატორიის** შენობა ამ ჟამად შეუფერებელია სადგომათ. ამის გამო ბათომის ქ. საქვ. საზ. რაიონული განყოფილება დეპეშით ურჩევს მთავარ გამგეობას მუნიციპალ აგარაკში შენობის აღებას, რომელსაც წლიურად 1200 მანეთად იძლევიან. შეკეთებაც 1000 მან. დაჯდება.

მთავრობის დაწესებულებანი

✦ **საკვები საქმე.** მეფის ნაცვლის თანაშემწის ინჟ. გენ. ნ. ნ. იანუშკევიჩის თავმჯდომარეობით მომხდარ კრებაზე დადგენილ იქმნა ქ. თბილისისთვის 14 ვაგონი ფქვილი დაწესდეს დღეში. საკვებ საქმის საკითხი ისევ ქალაქის გამგეობის საკვებ თათბირს დეეკისრა. ამ თათბირში ადმინისტრაციის წარმომადგენელიც უნდა შევიდეს, თბ. გუბერნატორის არჩევით, რომ საგუბერნიო ადმინისტრაცია და ქალაქის გამგეობა შეთანხმებულად მოქმედებდეს ამ საკითხში. აგრეთვე დადგენილ იქმნა მიღებულ იქმნეს ზომები ორი კვირით მაინც დაიჭირონ ხოლმე გამოულევლად თადარიგი ფქვილისა და კერძო პირთ ფქვილის მიღება აეკრძალოთ. ფქვილს ქალაქის გამგეობა მიიღებს და იგი გაანაწილებს მეპურეთა შორის.

✦ **მეფის ნაცვლის საბჭომ** დაადგინა 12 ამ თვეს, მიეცეს ქუთაისის გუბერნატორს 3,735 მანეთი სულით ავადმყოფთა თავშესაფარის შესანახად ქუთაისში.

✦ **სამკურნალო საზოგადოებაში.** დღეს, 14 ღვინობისთვეს, დანიშნულია სამკურნალო საზოგადოების წევრთა მორიგი კრება. კრებაზე ადმინისტრატიული საკითხების გარდა წაიკითხავენ თავის მოხსენებებს ექიმები გამბურგერი და ოგანეზოვი.

✦ **შაქრის მიცემა.** საკვებ საქმის მთავარ რწმუნებულმა კავკასიაში დაუთმო ქ. თბილისს 30 ათასი ფუთი შაქარი.

✦ **პროტოპრესვიტერი შაველსკი** სადარბაზოდ იყო მეფის ნაცვლის ორთავე თანაშემწესთან და მეფის ნაცვლის საბჭოს დირექტორ ისტომინთან. თავის მხრივ, პროტ. შაველსკის გადუხადეს დარბაზობა ზემოაღნიშნულ პირთაც.

✦ **ღვინის აქციზის გადიდება.** უმაღლესად დამტკიცებულ დებულების თანახმად ღვინის აქციზი გადიდებულ იქმნა. ამიერიდან შემდეგი აქციზი დაწესდა: ვედროზე 4 მან. 80 კ. ყურძნის ხილეულისა და ხილეულის წვნის ღვინოზე, ხოლო ქიშმიშისა და შუშხუნა ღვინის წვნისაზე ვედროზე 14 მ. 40 კ.

✦ **მოსავლის მტრებთან ბრძოლა.** მიწადმოქმედების დეპარტამენტმა აცნობა სახელმწიფო მამულების გამგეობას, რომ საომარ დროის გარემოებისადა მიხედვით და აგრეთვე ხალხის უზრუნველსაყოფად მოსახერხებლად იქმნა ცნობილი მოსკოვის სახალხო ბანკის საშუალებით იაფ ფასებში მოსავლის მტრებთან საბრძოლველ მასალების მოწვდა საზღვარ გარეთიდან, როგორც, მაგალითად, შაბიამნისა, გოგირდისა, პარიზის სითხისა, მიშიაკისა და სხვ.

ქალაქის დაწესებულებანი.

✦ **ქალაქთა კავშირის** განყოფილებას 71.420 მანეთი გადასცა მეფის ნაცვლის კანცელარიამ. ეს ფული უნდა მოხმარდეს კავშირის დაწესებულებას ერძინჯანში.

სასწავლებლებში.

✦ **ახალი გიმნაზია.** 15 ამა თვეს ნუხაში გიმნაზიის შენობის საძირკველს ჩაჰყრიან. ჰაჯი - მამედ - სადიხ-ალიევს 100 ათასი მანეთი შეუწირავს ამ სასწავლებლის დასაარსებლად. ნუხელები დიდის ამბით ემზადებიან აღნიშნულ დღისათვის. სხვათა შორის დღესასწაულზე მიწვეულია ქართული საქველმოქმედო საზოგადოებაც.

სასულიერო უწყებაში.

✦ **ყოვლად სამღვდელო ანტონი** ეპ. გორისა, როგორც გვატყობინებენ პეტროგრადიდან, დაინიშნება ან გდოვის, ან კავკავის ეპისკოპოსად.

კლუბებში.

✦ **გადასახადის განაწილება.** ქალაქის თვითმართველობის მიერ თბილისის კლუბის ბუფეტებზე გაწერილია მომავალი წლისათვის 36.000 სატრაქტირო გადასახადი. ამ თანხის ურთიერთშორის გასანაწილებლად კლუბებმა აირჩიეს საგანგებო კომისია დ. მ. დუმბაძის თავმჯდომარეობით. კომისიას ამ დღეებში ექნება სხდომა.

✦ **თბილისის კლუბების** თავმჯდომარეებს კრება ჰქონდათ 12 ამ თვეს „ახალი კლუბის" ფოიეში. თავმჯდომარეობდა დ. მ. დუმბაძე. კრებას უნდა გაენაწილებინა 36,000 მან., ქალაქის საბჭოს მიერ შეწერილი კლუბების ბუფეტებზე სატრაქტირო გადასახადის სახით. კრებამ უსამართლოდ სცნო ამოდენა თანხის შეწერა, მით უფრო, რომ რამდენიმე კლუბი კიდევაც იკეტება ბინის უქონლობის გამო. ამიტომ კრებაზე აზრი გამოითქვა, რომ საბჭოს გადაწყვეტილება განასაჩივრონ გუბერნატორის წინაშე. განაწილება შეწერილ თანხისა გადაიდვა მომავალ კვირამდის. ბოლოს კრებამ მოისმინა დ. მ. დუმბაძის წინადადება შესახებ თბილისის ყველა კლუბების კავშირის დაარსებისა. წინადადება მოიწონა კრებამ და დაავალა მოხსენების ავტორს ბ-ნ დუმბაძეს და ა. ს. ბაბოვს წესდების პროექტის შემუშავება.

სომეხთა შორის.

✦ **ეჩმიაძინში.** თბილისში მიღებულ ცნობათა მიხედვით, ყოველგვარი საქონელი შემოლეულა და ამის გამო დიდი სიძვირე ჩამოვარდნილა. შაქარი სრულებით არ მოიპოვება, ხოლო გირვანქა ყოვლად უვარგისი პური 15—20 კაპ. ფასობს თურმე, გირვანქა ნავთში 20 კაპ. იძლევიან, მაგრამ არ მოიპოვება.

✦ **სომეხთა ცენტრალ კომიტეტს** თოთხმეტ ენკენისთვიდან დღემდის გაუგზავნია თბილისიდან თავის სხვა და სხვა სასურსათო საწყობებში გადმოხვეწილთათვის: 1) ალსტაფაში 4 ვაგ. ფქვილი, 2) გუმბრიში 4 ვაგ., 3) განჯაში 2 ვაგ., 4) იგდირში 4 ვაგ., 5) ვაგარშაპატში 3 ვაგ., 6) ყარაკლისში 2 ვაგ., 7) ერევანში 3 ვაგ., 8) სარაყამიშში 1 ვაგ. გარდა ამისა სტავროპოლში ნაყიდი ფქვილი გაუგზავნია: 1) სარაყამიშში 3 ვაგ., 2) აზრუმში 2 ვაგ., 3) ყარაკლისში 3 ვაგ., 4) ეჩმიაძინში 5 ვაგ., 5) კამარლიში 2 ვაგ. და 6) იგდირში 3 ვაგონი, კომიტეტს აგრეთვე შეუძენია და გაუგზავნია 6 ვაგ. ნავთი.

✦ **გადმოხვეწილთათვის ფულის გადადება.** გენერალმა თამამშევმა განკარგულება მოახდინა მიეცეს ქალაქთა კავშირის განყოფილებას 500 ათასი მანეთი გადმოხვეწილთა ხარჯების გასაძღოლად.

✦ **ფქვილის შეძენა.** სომეხთა ცენტრალურ კომიტეტის წარმომადგენლისათვის სამხედრო სურსათის მყიდველს ბ-ნ დანილევსკის 19 ვაგონი ფქვილი დაუთმია ეკატერინოდარში. კომიტეტი ცდილობს ვაგონების შოვნას ამ ფქვილის გადმოსაზიდათ.

✦ **სომეხთა ცენტრალ კომიტეტის** მიერ მიღებულ ცნობების მიხედვით, კამარლიში სურსათი გამოლეულა. 21 ენკენისთვეს თბილისიდან გაგზავნილი ფქვილი ჯერ კიდევ არ მისულა იქ.

სხვა და სხვა ამბები.

✦ **საჭიროა ხელოსნები.** მოსკოვის სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის მთავარ-რწმუნებული კავკასიაში ამ ჟამად აწყობს ფრონტისათვის საჭირო სხვა და სხვა სახელოსნოებს. მათში სამსახური ანთავისუფლებს სამხედრო ბეგარისაგან (ჯერ კიდევ გაუწვეველთ). საჭიროანი არიან განსაკუთრებით: მეჩექმენი, ხარაზები, თერძები, მჭედლები, ნალბანდები და მეუნაგრეები. ჩაწერა შეიძლება მთავარ-რწმუნებულის გამგეობის კანცელარიაში (თავად აზნაურობის სახლი, სასახლის ქუჩაზე, № 5, საქველმოქმედო საზოგადოების ახლო) საღამოს 7 საათიდან 8-მდე.

✦ **ხილის მაზანდა.** „ქართლის" ამხანაგობის ცნობით ტფილისის ბაზარზედ 10-12 ოქტომბერს ხილის ფასი იყო: ვაშლი: კან რენეტი 4 მან.—7 მ. როდი 3 მ. 50 კ.—6 მან. ზელფლარი 6 მ.-7 მან., წითელი რენეტი 6 მან. 7 მან., წითელი კალვილი 5 მ.—6 მ. მსხალი ბერედილი (კომშა)—6 მ·— 8მ. სენჟერმენი—5 მ.—7 მან., ხეჭეჭური —3 მ.—3 მ. 50 კაპ., შავმსხალა—2 მ. —2 მ. 50 კაპ. ატამი—12 მ.—14 მ. კომში—2 მ.—3 მანეთი.,

✦ **თბილისის სამუნიციპალო კალენდარი.** ქალაქის მდივანს ა. ი. სტავროვსკის ნაკისრები აქვს მომავალ წლისათვის შეადგინოს თბილისის სამუნიციპალო კალენდარი. რადგან დრო ცოტაღა დარჩენილა, იგი სთხოვს ქალაქის თვითმართველობის დაწესებულებათ დაუყონებლივ მიაწოდონ კალენდარში მოსათავსებელი საჭირო ცნობები.

✦ **სახაზინო თეატრის** დაარსებიდან 20 წლისთავი სრულდება 28 ღვინობისთვეს. თბილისის არტისტული წრეები ემზადებიან ამ დღის აღსანიშნავად.

✦ **ბაზარი.** სოფლებიდან ბლომად ჩამოიყვანეს ბატები, თითო ბატი ფასობს მანეთიდან თორმეტ-აბაზამდე. აგრეთვე ბლომად მოიპოვება თევზი: გირვანქა კალმახი ფასობს 60—80 კ. „ცოცხალი" 60 კაპ. ხრამული 60—კ. ახალი კიტრი 10 ცალი 30—35 კაპ. გირვანქა ყურძენი 30—40 კაპ. დუთმა გირვანქა 10 კაპ. მჟაუნა 1 კონა 15კ. ფერადი კომბოსტო გირვანქა 15 კაპ. ბადრიჯანი 10 ცალ. 24—30 კაპ. გირვანქა წიწაკა 20 კაპ., მწვანე პამიდორი 5 კაპ ნუში 70 კაპ., წაბლი 20 კ. ნიგოზი 70 კაპ., რკო 10 კაპ., მანქანით გაკეთებულ ყველი 40 კაპ.,

✦ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო თ. მთავრიშვილის მიერ გამოცემული წიგნი **„მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო"**, შედგენილი დ. უზნაძის მიერ. წიგნი შეიცავს 80 გვერდს. იწყობა უძველესი პერიოდით და თავდება ძველი სპარსეთის ისტორიით. მრავალი სურათი და კითხვების საგულისხმიერო შეფარდება ჰმოწმობს თუ რა ძვირფასი სახელმძღვანელო შეეძინათ ჩვენს მწყურვალე ახალგაზრდობას. ყდით ჰღირს. 1 მან. 20 კაპ.

✦ **ქიათურის საბჭოს სასურსათო კომისიის** წევრი ბ-ნი კეილი ამ დღეებში მოხსენებას წარუდგენს კომისიას, რომ გადაჭრილი ფასები დაწესდეს ჩირზე, რადგან ზოგიერთ ავადმყოფთათვის ჩირი ერთადერთი მასაზრდოებელი საგანია. ბ-ნი კეილი აგრეთვე თხოულობს, რომ დაკლულ ბატებზედაც დაწესდეს ნიხრი.

✦ **თავის მოკვლის განზრახვა.** წმ. მიხეილ ტვერელის ეკლესიასთან სტანისლავა ზახაროვისამ საწამლავი დალია. ზახაროვისა მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს გონ-დაკარგული. მდგომარეობა საეჭვოა.

✦ **პურის სიმცირემ** ისევ თავი იჩინა თბილისში. გუშინ და გუშინწინ თეთრი პური ერთობ ცოტა გამოცხვა. საქალაქო დუქნებს დილიდანვე დიდძალი ხალხი აწყდებოდა.

✦ **აგრონომი გ. ვ. დალაქიშვილი,** რომელიც თბ. გუბერნატორის რწმუნებულად დაინიშნა კავკავში ფქვილისა და ხორბლისა შესაძენად, უკვე გაემგზავრა ეკატერინოდარს.

✦ **თბ. საოლქო სასამართლოს** სესია გაემგზავრა სიღნაღს. საქმეების განხილვა 20 ღვინობისთვემდე გასტანს.

✦ **მკვლელობა.** როგორც თბ. გუბერნატორის კანცელარიას ატყობინებენ ს. აბრეკში, გორის მაზრა, მოუკლავთ ს. ხოზაშვილი.

✦ **საავადმყოფოს გადატანა.** ქალაქის საავადმყოფოს № 40, საცა საოფლით ავადმყოფებია მოთავსებული, ცალკე ფარდულების აგებაა განზრახული.

✦ **საცვლების შეგროვების** დღემ მკრთალად ჩაიარა თბილისში, ფულად 3,300 მანეთი მოგროვდა, ხოლო საცვლებ: 120 არშინი ფართლეული, 300 ცალი ხელთათმანი და სანოვაგე 300 მანეთისა.

თელავი.

სოფ. იყალთო (თელავის მაზრა). 8 ღვინობისთვეს, ამ სოფელში გათენებისას დიდი უბედურობა დატრიალდა. ვიღაც ცრუ მაბეზღარის ჩვენებით, ვითომც ყაჩაღები იმყოფებოდნენ ლევანა ყუშტაშვილის სახლში,—ალყა შემოარტყეს სტრაჟნიკებმა და აუტეხეს საშინელი სროლა. მთელი სახლი დააფაცხავეს, იმსხვერპლეს ყუშტაშვილის მეუღლე ლიზა, აკვანში ჩაწვენილი ბავშვი-კი რომელიც გვერდ ედგა დედას, გადარჩა რაღაც განგებით, მიუხედავად იმისა, რომ მისი აკვანიც დახვრეტილი იყო და თითქმის დაიშალა კიდეც ბევრი ტყვიების მოხვედრისაგან.

— თვით თელავში ზამთრის მოახლოვების გამო, დღე და დღე შეშის ფასი მატულობს. ურემს ეხლავე 14—15 მ. აფასებენ.

— შემ.-გამ. ამხანაგობა ფუთს შაბიამანს 18 მ. ჰყიდის თავის წევრებზე. ბევრი ეხლავე ყიდულობს მომავალ წლისთვის, რომ კიდევ გაუმაძღარ მოვაჭრეების ხელში არ ჩაცვივდნენ, რომელნიც ფუთში 11—120 მ. ართმევდნენ.

— თეთრ ბილეთებიანების მიღება დასრულდა.

— გ. გრიქუროვმა მოიტანა 1 ვაგონი ნავთი და გირვანქას ნახევარი კაპეიკი მოუმატა. ეხლა 7 კ. ჰყიდის გირვანქას.

დ. ხონი.

— წერა - კითხვის ადგილობრივმა განყოფილებამ მოიყვანა აჭარელი ბავშვი ხაზარაშვილი. ის სწავლობს სემინარიასთან არსებულ ორკლასიან სასწავლებელში. ამ საქმეში დიდი მადლობის ღირსნი არიან ექიმები პოლიკარპე ივ. ჩხიკვიშვილი და მათე ვას. ბახტაძე.

— შაქრის დიდი კრიზისია. დღემდის კოოპერატივში მაინც იშოვებოდა და დღეს არც იქ არის. საჭიროა ამ თავითვე ყურადღების მიქცევა.

— ყასბების თავგასულობას საზღვარი არ აქვს. ისინი ცდილობენ რამეფრივ საზოგადოების მოტყუებას. ერთი კვირის წინათ მინდორში საქონელი მომკვდარიყო ყასბებმა წამოიღეს და დაიწყეს ყიდვა. ეს ამბავი ბოქაულმაც გაიგო და ყასბები დააპატიმრა.

— მეფურნეები ნიხრის მიხედვით პურს არ ჰყიდიან.

ორი სიტყვა

ქართლელი.

თხოვნა,

მირთმეული უავგუსტოეს მეფის ნაცვლისადმი ფშავთა საზოგადოებებისა და თიანეთ-კახეთის ნაწილის თიანეთის მაზრის თუშების რწმუნებულთა მიერ.

ფშავთა და თუშების მოსახლეობა და აგრეთვე ხევსურეთისაც, უჭირავთ რა მთიანი ადგილები და ხეობები, თიანეთის მაზრისა, პირდაპირ ეკვრის მაჰმადიან ქისტების სოფლებს, რომლებიც მოსახლეობენ თიანეთის მაზრის მიდამოებში და აგრეთვე გროზნოს ნაწილში თერგის ოლქისა. მაჰმადიანი ქისტები წინადაც ახდენდნენ თავდასხმას ჩვენს სოფლებზე, ხოცავდნენ ჩვენს ძმებსა და შვილებს, იტაცებდნენ ქონებასა და წაასხამდნენ დიდძალ შინაურ საქონელსა და ცხენებს. რამდენადაც ძალა შეგვწევდა მაშინ ჩვენ ვაკავებდით მათ თავდასხმებს და არა ერთხელ მიგვიმართნია ამის გამო ადგილობრივ მთავრობისადმი შველისათვის. უკანასკნელ დროს, როცა თითქმის სუყველა მამაკაცები ომში გაიწვიეს, მაჰმადიან ქისტებმა განსაკუთრებით გაახშირეს თავდასხმა, მკვლელობა და ტაცობა. მარტოდ ფშავთა და თუშთა მოსახლეობა ამ ჟამად უძლურია დაიფაროს თავი, რადგან უიარაღო მოხუცსა და ბავშვებს თავს ესხმიან საუკეთესო ვინტოვკებით შეიარაღებული ქისტები, ხოლო ადგილობრივი ადმინისტრაცია არ გვიწევს მართებულ დახმარებას და კიდევაც ჰყავს ჩაფრებად უმეტეს შემთხვევაში იგივე ქისტები. ამ საშიშ და დაუმსახურებელ მეტად მძიმე და უნუგეშო მდგომარეობის გამო, თუშ-ფშავთა მოსახლეობა უქვეშევრდომილესად შუამდგომლობს:

1. მოგვეცეს მეტი ყურადღება და იქმნას მიღებული შესაფერი ზომები მცხოვრებთა ქისტების თარეშისაგან უზრუნველსაყოფად.
2. გადააყენონ ყველა ქისტი ჩაფრები, შესცვალონ ისინი ადგილობრივ მკვიდრთა ელემენტით და აიძულონ ადგილობრივი ადმინისტრაცია დამნაშავეთა წინააღმდეგ გარდამწყვეტ ზომების მისაღებად.
3. რადგან მოძალადეთა დასამორჩილებლად საჭიროა ადგილობრივად ჩვენ რაიონში მყოფი სამხედრო ძალა, რაც ეხლანდელ პირობებისა გამო მეტად მოუხერხებელია სხვა კუთხეებიდან მოსულ უცხო პირთათვის, ამიტომ ეს სამხედრო რაზმი დაახლოვებით არა ნაკლებ 100 კაცისა შესდგეს ადგილობრივ მთის მიდამოების მცხოვრებთაგან. ასეთ ძალას შეუძლია ერთბაშად დაამყაროს წესიერება და ალაგმოს თავდამსხმელები.
4. გადაეხდევინოს ქისტების საზოგადოებათ ზარალი, რომელიც მოგვაყენეს უკანასკნელ ხანებში, ადგილო-

ბრივ ადმინისტრაციის მიერ შემოწმებულ სიის მიხედვით;

5. მოგვეცეს ნება სასოფლო მმართველობათა წარდგინების მიხედვით შევაიარაღოთ სახლში დარჩენილი მამაკაცები და აგრეთვე ქალებიც.

ამ თხოვნის თბილისში ჩამომტან რწმუნებულებმა ინახულეს ბ-ნი თბილისის გუბერნატორი, რომელიც შეჰპირდა ფრიად საყურადღებო თხოვნის ასრულებას და დაუყოვნებლივ ზომების მიღებას მოთარეშე ქისტების ასალაგმავად და აგრეთვე დამნაშავეთა დასჯასა და მცხოვრებთა, განურჩევლად სქესისა, შეიარაღებას.

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოება 1915 წ.

(მთავარ გამგეობის ანგარიშიდან)

(დასასრული)

კასის ანგარიში.

საბუხგალტერიო ნაწილი მთავარ გამგეობის ანგარიშისა 24 განყოფილებისაგან შესდგება. ცალკეა მოთავსებული როგორც მთავარ გამგეობის ისე განყოფილებათა ანგარიში, ასე რომ ცხად ჰყოფს ყველა წვრილმანსაც კი ცალკ-ცალკე. ანგარიშს ემჩნევა გამოცდილი ხელი საზოგადოების ბუხგალტერის ბ-ნ ვ. ჩარკვიანისა, რაც დიდ პლიუსად უნდა ჩაეთვალოს საზოგადოებას, დანარჩენ ჩვენ საკულტურო საგანმანათლებლო დაწესებულებათ კი წასაბაძ მაგალითად.

მთელი ბალანსი ქ. საქვ. საზ. მთავარ გამგეობის კასის ანგარიშისა 1915 წელს უდრის 182667 მან. და 69 კაპ.

საანგარიშო წელს მთავარ გამგეობას შემოსვლია: 1) პროცენტების დამატებით 41501 მ. 97 კ., 2) დაბრუნებული ფულის გამოქვითვით (666 მან. 54 კ.) 40835 მ. 43 კ., 3) მის იმპ. უდ. ტატიანას კომიტეტისაგან 51612 მ. 78 კ., 4) მეფის ნაცვლის კანცელარიიდან 25014 მ. 76 კ.. 5) შინაგან საქ. სამინისტროსთან არსებულ საგანგებო საბჭოსაგან 60155 მ. 18 კ., 6) პეტროგრადის ქართველთა საზოგადოებისაგან 5009 მან. 11 კაპ., 7) ბ. მდივნის ავანსის ანგარიშში დახარჯულია ზედმეტი 40 მან. 43 კაპ. სულ 182667 მ. 69 კ.

საანგარიშო წელს საზოგადოებას შემდეგი გასავალი ჰქონია:

მიეცა: 1) ბათომის განყოფილებას გაჭირვებულ აჭარელთათვის 8300 მ., 2) ზესტაფონის სარაიონო განყოფილებას წყალდიდობისაგან დაზარალებულთათვის 500 მ., 3) ახალ-სენაკის სარაიონო განყოფილებას წყალდიდობისაგან დაზარალებულთათვის 700 მ., 4) ზუგდიდის სარაიონო განყოფილებას წყალდიდობისაგან დაზარალებულთათვის 500 მ., 5) ქუთაისის სარაიონო განყოფილებას წყალდიდობისაგან დაზარალებულთათვის 4700 მ., 6) მოსამსახურეთა ჯამაგირების ანგარიშში 1911 მ., 7) გაჭირვებულ აჭარელთა, სხვა და სხვა პირთ 3639 მ., 8) აჭარლების საექიმო დახმარებისათვის 333 მ. 46 კ., 9) „ძმური სიტყვის" გამოცემის ხარჯები 1427 მ. 9 კ., 10) ტანისამოსის შეკერვაში 50 მ., 11) იურიდიულ დახმარების აღმოსაჩენათ სხვა და სხვა ვექილთ 3476 მ., 12) ომისაგან დაზარალებულთა სხვა და სხვა პირთ 2487 მ. 55 კ., 13) წყალდიდობისაგან დაზარალებულთა სხვა და სხვა პირთ 150 მ., 14) საორგანიზაციო სხვა და სხვა ხარჯები 972 მ. 33 კ., 15) საკანცელარიო სხვა და სხვა ხარჯები 364 მ. 36 კ., 16) ფოსტა-ტელეგრაფის სხვა და სხვა ხარჯები 233 მ. 09 კ., 17) ტატიანას კომიტეტის ანგარიშში სხვა და სხვა ხარჯები 7390 მ. 55 კ., 18) ნამესტნიკის კანცელარიის ანგარიშში გაწეულია სხვა და სხვა ხარჯები 20768 მ. 31 კ., 19) პეტროგრადის ქართველთა საზოგადოების ანგარიშში სხვა და სხვა ხარჯები 180 მ. სულ მთელი გასავალი უდრის 58082 მ. 74 კ.

ქართულ საქვ. საზოგადოების მთავ. გამგეობის კასის ანგარიში 1 იანვარს 1916 წ. უდრის: 1) სალდო %% დამატებით მიმდინარე ანგარიშები: ა) № 2468 საქ. საზ. 10584 მ. 55 კ., ბ) გაცემულია ავანსები 547 მან. 43 კ., გ) № 2629 საგანგებო საბჭო 60155 მ. 18 კ., დ) № 2630 ტატიან. კომიტეტი 44222 მ. 23 კ., ე) № 2631 მეფ. ნაც. კანცელ. 4246 მ. 45 კაპ., ვ) № 2635 პეტ. ქართ. საზოგ. 4829 მან. ასე რომ ქ. საქვ. საზ. გამგეობას დარჩენია 1916 წ. 1 იანვრისთვის 124584 მ. 95 კ.

დ. პ.

სოფლად

II

კახეთი

20. დაღესტნის მთები და ლეკები. იმ ღამეს სოფ. არეშ-ფერანში შეძლებულ ოსს ვესტუმრეთ, დიდის სიხარულით მიგვიღო, რომ კიდევ თავის მხრის კაცსა ხედავდა.

ლელიანის საზოგადოების დავლას ჯერ დაღესტნის მთებში წასვლა ვამჯობინეთ და დილა-ადრიან გავემგზავრეთ მე და ჩემი თანამგზავრი მოხუცი თათარი და ერთი ჩვენებური ოსიც მოგვემატა.

ჯერ ავედით ლეკების სოფელ არეშში, დაღესტნის ძირში, შეკრულ მთებში—ერთ ხეობაში მდებარეობს. მისი მცხოვრებნი ზაფხულობით ისევ თავიანთ ქვეყანაში მიდიან, მხოლოდ ზამთრობით, ესე იგი ენკენისთვიდან ჩამოდიან არეშში. ესენი არიან ავარის წყლის ხეობიდან. ამ არეშს გარდა, სხვა სოფლებიც არიან გაფანტული ამ მთებში. არეშთან ახლოს სოფ. „ნაქალაქევია", ეს სოფლები ადმინისტრატიულ მართვა-გამგეობაში არსად არ არის მოხსენებული და ყოველგვარ სასოფლო გადასახადისაგან თავისუფალნი არიან.

აქაურმა ოსებმა მიამბეს შემდეგი: „ვიდრე ჩვენი ვაჟკაცნი აქა გვყავდნენ, ლეკები ვერას გვიბედავდნენ, პირიქით ჩვენი ეშინოდათ, როდესაც ომში წაასხეს და ჩვენ მოხუცებულნი მარტონი დავრჩით, დაგვიბრიყვეს, სახლში გვივარდებიან, საქონელს გვტაცებენ, ერთის სიტყვით, მათგან მოსვენება არა გვაქვს. ნაპარევი საქონელი ტყეში მიჰყავთ, ხოცვენ, იქვე ატყავებენ და რამდენიმე კაი ნაჭერს ასჭრიან, დანარჩენს კი იქა სტოვებენ. ამისთანა მაგალითები ბევრი ვნახეთ აი ამ ტყეებში.

მათგან ჯარისკაცები არ მიჰყავთ, დიდი, პატარა, მოხუცი ყველა სახლში არიან და ჩვენ მოხუცებულნი მათთან რას გავხდებით.

სოფ. არეშის მცხოვრებთა შენობები სახელდახელოდ არის ნაშენი და შორი-შორს მიმალულია ხეებში, ბარდნიან ხეხილებში და კაცი, თუ მარჯვედ არ არის, ვერც კი მიაგნებს, ვინ სადა სცხოვრობს.

გავცდით სოფ. არეშს და ეშმაკისყურისკენ გავემართეთ, რომ ჯერ „სავაჩნაძიანო" მთა დაგვევლო.

პატარ-გორს აუქციეთ, კაკლის ტყეები გვხვდება, ბევრი მათგანი წაქცეულია. სოფ. ნოვო-მიხაილოვკის რუსები, რომლებმაც კაკლის ბერტყვა არ იციან, მსხმოიარე კაკალს ძირში სჭრიან, წამოაქცევენ და მშვიდობიანად კრეფენ, ალბად თუ ჰგონიათ, რომ მერმის ისევ ძირიდან იმოდენას ამოიხეთქავს, რომ საბერტყი შეიქნეს.

რაში ენაღვლებათ, მზა-მზარეულად ყველაფერი ეძლევათ და ხურმა რა ხილია, იმას არ დაგიდევენ.

დაღესტნის მთებში ხელ-უხლებელი გაუვალი ტყეებია, სანახავად ღირს, რომ ჯერ უხეში ხელი ადამიანისა არ შეხებია ჩვენამდის მოხწეულ дѣвственный ტყესა.

რას არ ნახავთ ამ ტყეში: კაკალს—განზე გაწეულ ტოტებით კი არა—მაღლა ატყორცნილს, ცოცხივით შეკრულს, წაბლს თავისი ლამაზი ქერქიანი სამოსელით, მუხას ვით უდრეკსა, მუქ ფოთლიანსა, ჯამ-რკოიანსა, ქორაფსა—თეთრ-გულსა, ნეკერჩხალს—გულსა ყვითელსა და კიდევ რა გინდა, ჩემო მკითხველო, ცაცხვი—ლამაზი ყვავილებით, დათვის თხილა—ლამაზის ფოთლებით, კოხტა წიფელა—ღორს, რომ ასუქებს, თელა—რუხ-ჯავარიანი, იფნა—წითელ-ყვითელ გული აქვს.

რასაკვირველია, ნაპირებში ტყე ნამუშევარია, მაგრამ პატარას რომ გასცდებით და შეხვალთ დაბურულ ტყეში, შემდეგ გზას ველარ გაიგნებთ.

დაღესტნის მთების გრეხილები ტყით შემოსილი არ არის, საძოვრით და სათიბით შემკულია. მისი მწვერვალნიკი სიმაღლით უდრიან 8405—9982 ფუტამდის.

ბათომ-ტრაპიზონის რკინის გზისთვის აქ დაიწყეს მზადება მუხის შპალებისა და, როგორც ერთ დროს ქართლის ტყეები საამირაჯიბო, საფალავანდო და სხვა, შპალებმა გაანადგურეს, ისე ამ ტყეებს ეს ბოლო მოელის, თუ რომ რაციონალურად ტყე დამუშავებული არ იქნება.

დაღესტნის მთებში ნადირი ბლომად დაიარება; შეხვდებით გარეულ ტახს, ირემს, ჯიხვს და არჩვს,—ფრინველთაგან: ხოხობს, დურაჯს, ტყის ქათამს.

დაღესტნის მთებში დამალულია ძველი ნაშთები, რომელიც მოითხოვს დაუყოვნებლივ გამოკვლევას. შეხვდებით ეკლესიებს, რომლებიც ლეკებს გომურათ გადაუქცევიათ. აქეთ უფრო ძველი ნაშთები აგურით ნაშენია.

გვიღამდებოდა, დავტრიალდი ისევ სოფ. არეშფერანში, გავსცდი მდ. კაბალას, ტყეში გავლა გვიხდება, მთვარე გვინათებს, ხან და ხან დაბურულ ტყეში მთვარის შუქი ვერ ატანს და გზა ჩვენი უცებ წყვდიადში ვარდება, სიარული გვიძნელდება და უცებ მთვარის შუქი ისევ გზას გაგვინათებს.

ბოლოს, როგორც იყო, მივაღწიეთ ჩვენს სტუმარ-მოყვარე მასპინძელს. მისი დარბაზი გაკაშკაშებული დაგვხვდა თავის ძველებურის კერათი, რაზედაც დიდი შეშის ძელები ეწყო და გიზგიზებდა, საცეცხლურზედ კერძი იხარშებოდა და ჩვენც მთელი დღის ნამგზავრნი ველოდით გემრიელ ვახშამსა.

21. ლელიანის საზოგადოებ. ამ საზოგადოებაში მცხოვრებთა რიცხვი გუბერნიის საკრებულოს ჩვენებით 1000 კომლი ითვლება, მამასახლისის ჩვენებით კი 836 კომლია. სანდო არ არის მამასახლისის ჩვენება, სოფ. არეშ ფერანში დანამდვილებით 60 კომლი ითვლება, მამასახლისი კი 49 კომლს გვიჩვენებს.

მაგრამ მაინც და მაინც მამასახლისის ჩვენებას დავერწმუნეთ, ნაკლები ციფირები ავიღოთ, მით უფრო შეცდომა არ გვექნება.

ლელიანის საზოგადოებაში შედის 23 ახლად დასახლებული სოფელი, პირველი სოფელი „ხოშა ტიანი" 1907 წელს დაარსდა.

ამ საზოგადოებაში ქართველები ცხოვრობენ 503 კომლი, დანარჩენი 333 კომლი ოსობა მოსახლეობს.

ლელიანის საზოგადოების კანცელარიიდან აღმოჩნდა, რომ სოფლის მოხელეებზედ ეხარჯებათ: მამასახლისზედ—500 მან., მწერალს—360 მან., ოთხ სტრაჟნიკს—1200 მ., გზირს 120 მან., კანცელარიის ხარჯი—100 მან., განათება—100 მან., სახლი საკუთარი აქვს, ტყეშია აშენებული და შეშაზედაც არას ხარჯავს და მთელ ხარჯთ-აღრიცხვას შეადგენს—2380 მ.

ხარჯის გამღები თითო კომლი—მწერლის ჩვენებით იხდის 4 მ. 75 კ. თუმცა აქვე განაცხადა ზოგიერთმა, რომ 5—6 მან. ვიხდითო. დაე ისევ მწერლის ჩვენება მივიღოთ, 836 კომლი ხარჯის მხდელია, მაშასადამე, მთელ საზოგადოებას გამოაქვს სოფლის მოხელეების შესანახად 3971 მან. ზედმეტი 1591 მან. სად იხარჯება არავინ უწყის, თუ ეს თავის დანიშნულებას ეხმარება, კიდევ მადლობა ღმერთს, საზოგადოება არას ინაღვლის და საჭირო კია, საზოგადოებამაც იცოდეს რას ხმარდება ეს ზედმეტი ფული.

ლელიანის საზოგადოების მამასახლისმა ვასილ ფილიაშვილმა ჯერ ერთხელ ველისციხელი დასჭრა, სასამართლომ შესაფერი სასჯელი მიუსაჯა, თავი გაინთავისუფლა, შემდეგ, როდესაც საზოგადოების სურვილის წინააღმდეგ მიმასახლისად აირჩიეს, თავის მეზობელი თედეშვილი მოჰკლა თოფით, დღესაც თავისუფალია მომრიგებელ შუამავლის წყალობით.

საზოგადოება უნდობლად უყურებს და შესაძლებელია სისხლი აიღონ მოკლულის პატრონებმა.

თუ მაინცა და მაინც მამასახლისი მართალია ამ მკვლელობაში, მომრიგებელ შუამავალს I რაიონის სიღნაღის მაზრისა ამ საზოგადოებაში აღარ უნდა დაეყენებინა და სხვაგან გადაეყვანა. მაგრამ სოფლის მცხოვრებთ ზნეობრივ ინტერესს ვინ დაიცავს, როდესაც მატერიალურ ინტერესს არავინ იცავს.

ლელიანში სამინისტრო სკოლა არსებობს, ქართველები ცხოვრობენ, ოსებისთვის კი ხოშატანში გახსნეს სასწავლებელი, მაგრამ ისევ მიჰკეტეს. წვრილი კრედიტიც არსებობს 1912 წლიდან, 446 წევრი ჰყავს და ფულის ტრიალი უდრის 22000 მანეთს. კოოპერატიული ამხანაგობის გახსნასაც აპირებენ.

სოფელი ლელიანი გეგმაზეა გაშენებული და განვითარების გზას დასდგომია.

—

ლელიანის საზოგადოება ტყით მოსილია, ამ ტყეებშია გაშენებული სოფლები, დაცემული ვაკე ადგილია და წყლების მიმდინარეობა ნელია, ზოგან გუბეები დგას, ზაფხული ცხელია და აი ამის მიზეზებით დამპალი ციება მძვინვარებს აქეთ მხარეს. ყველას ავადმყოფის სახე აქვს, ბევრიც ვერ უძლებს და ისევ იქ მიდის, საიდანაც გადმოსახლებულა. მაგალითად, კოსტა სოფრომიძემ მიხაილოვკაში ციებისაგან შეწუხებულმა მიჰყიდა თავისი მამული მეზობელს დესეტინა 130 მან. და ისევ თავის სამშობლოში ჩხარში მიდის.

მხოლოდ ეს ერთად-ერთი დამპალი ციება ალაზნის გაღმა მხრისას მინუსად უნდა ჩაეთვალოს.

—

მთელი ლელიანის საზოგადოების მთა და მამული მდ. კაბალიდან ვიდრე ძველ და ქვემო გავაზის მამულებამდის თ-დ ანდრონიკაშვილებს და მათ მონაწილეებს ეკუთვნით. დღეს კი თანდათანობით ეს მამული გადადის გლეხებზედ.

ეს გადმოსახლება მემამულეების შეუთანხმებლად ხდებოდა, ერთი-ერთმანერთის ჯიბრით, როგორც მემამულეებმა ჩაიდინეს, ისე თ-დ ანდრონიკაშვილები და ვაჩნაძეები სჩადიოდნენ. რაც არ ეკუთვნოდათ, წილს გარედ იმას ითვისებდნენ და თავისათ ასაღებდნენ გადმოსახლებულ გლეხებზედ.

აი სხვათა შორის თ-დ ანდრონიკაშვილებმა სოფ. ხეჩემოში დაასახლეს 26 კომლი ოსი და მიჰყიდეს 3000 მანეთად, როდესაც გამიჯვნა დაიწყო, ეს მამული თ-დ ვაჩნაძეებს დარჩათ, აქ დასახლებულ ოსებს ჩამოართვეს ეს მამული და სხვებს მიჰყიდეს.

აგრეთვე $13\frac{1}{2}$ დეს. იყიდეს თ-დ ვაჩნაძეების ერთ მონაწილეთაგან ლ. ჩაჩანიძემ, გ. ჩაჩანიძემ, ექ. მუმლაძემ, მაქ. ნადირიშვილმა, იას. ნოზაძემ და მ. ბარათაშვილმა, მისცეს 520 მან. და კიდევ მისაცემს არიან 700 მან., ეს მამული სხვასაც მიჰყიდა და ვერც ერთი ჯერ ვერ იბარებს ამ მამულსა.

ამისთანა მაგალითები სხვაც ბევრია.

რაც შეეხება მამულის ფასს, აქეთ მხარეს მემამულეები ჰყიდდნენ გლეხებზედ დესეტინას 50—60 მანეთად, ზოგჯერ 30 მანეთადაც გაუყიდნიათ. დღეს კი მამულის ფასმა აიწია. მაგალითად ხევხიანის ოსებმა იყიდეს თ-დ ი. ე. ვაჩნაძისაგან 21 დეს., დესეტინაში 60 მან. მისცეს, დღეს იმერლებმა—სამმა კომლმა მიხაილოვკაში ოსებისაგან იყიდეს და დესეტინაში მისცეს 110 მანეთი. აგრეთვე ამავე სოფლის იმერლებმა იყიდეს გ. ე. ვაჩნაძისაგან 21 დესეტინა და 60 მან. მისცეს დესეტინაში, ახლად გადმოსახლებულმა იმერლებმა ამათგან იყიდეს და დესეტინაში მისცეს 200 მან.

—

ოსურ ხარნაგას დავესწარი, მთელი აქეთა მხარის ოსობა აქ იყო შეყრილი, მომეტებული წილი ჩემი ნაცნობები იყვნენ.

დიდი ხარჯი გადიხადა მიცვალებულის პატრონმა, დაასაკლავეს ხარი, ძროხა, ცხვრები, ღვინო 12 კოკა სულ გამოსცალეს.

ამოდენა ხალხს, რასაკვირველია, არც ერთი მიცვალებულის ოჯახი ვერ შეუძლებდა, რომ მათში შეწევა წესად არ ყოფილიყო. აუცილებლივ ყველამ ხარნაგაში მიმსვლელმა მიცვალებულის პატრონს რამდენიმე მანეთი უნდა შეაწიოს.

ასე იოლად გამოდიან ამ უთავბოლო ხარჯებს.

სხვათა შორის ამ ხარნაგაში ძველგავაზის მღვ. დ. გიუნაშვილი გავიცანი, აღარ მომეშვა და თავისთან წამიყვანა, იმ ღამეს თავისთან მისტუმრა და მეორე დღეს დამატარა ძველი-გავაზი და ყველა დაწესებულება გამაცნო.

Legatus.

(შემდეგი იქნება)

შემოწირულება

ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოებამ მიიღო მღვდელ კირილე კელენჯერიძის ხელით 118 მოთადარიგე ქვეითა ჯარის უფროსის თ-ის ა. ი. ბარათაშვილის მიერ შეგროვილი 124 მ. და 50 კ. შემომწირველთა სია:

10 მანეთი და 50 კაპ. პოლკ. ა. არასტავეზოვი, 10 მან. პოლკოვ. თ-დ ა. ი. ბარათაშვილმა.

ხუთ-ხუთი მანეთი: კნ. მარ. ი. ბარათაშვილი, პრაპორჩ. თ-დი ს. გ. დგებუაძე, პრაპ. გ. დ. ფურცელაძე, მღვ. კ. კელენჯერიძე, პრ. კ. ცქიტიშვილი, პრ. ა. მირიანაშვილი.

ოთხი მან. პრაპ. ს. პაპერაშვილი.

სამ-სამი მანეთი: პრაპ. მ. ჯაჯანიძე, პრაპ. გ. ჭაეჭანიძე, პრაპ. გ. კიკნაძე, გ. და ე. ლიაძე, ვოლნოოპ. გ. შტილფინკელ, ს. კვერკველია.

ორ-ორი მან.: კნ. ო. ბარათაშვილი, ისმაილ ბეგი მურსიკულიკი, პრაპ. ნ. ჩიხნაშვილი, პრაპ. გ. ალადაშვილი, პრაპ. ი. კვიჟინაძე, ორდინატორი გ. ჯაჯანიძე, პრაპ. მ. ჩიკაშუა, პრაპ. ი. ტაბიძე, პრაპ. ი. მირიანაშვილი, პრაპ. ან. კრჟივოშინსკი, პრაპ. ს. ხაჩატუროვი, პრაპ. მ. ნოვიკოვი, პრაპ. ი. ვოლვაკი.

თითო მანეთი. ე. დ. ვასილევსკაია, ნ. დ. ევერსტი, პრაპ. ვ. ხარუევი, თ. მელია, ა. გულაბოვი, პრაპ. პ. სერგეევი, პრაპ. ტ. კაიდანსკი, პრაპ. კ. გალიჩი, პრაპ. დ. ჩუი, პრაპ. პ. ბორდონასი, პრაპ. ნ. ფედოტოვი, პრაპ. ვ. იცკევიჩი, პრ. ა. კალიშევსკი, პრაპ. ა. ბაიკოვი, პრაპ. ვ. არტემიევი, პრაპ. რ. ალავერდოვი, პრაპ. გ. სმეტანინი, პრაპ. ვ. პოდოინიკოვი, პრაპ. პ. კონდრატევი, პრაპ. ბ. ეზგუბადი, პრაპ. ფ. კუზმინოვი, პრაპ. ტ. სიჩევი, პრაპ. ს. ხაჩატუროვი, ჯარის-კაცი ლ. პეტროსოვი, ჯარის-კაცი ი. ციმაკურიძე, ეფრეიტ. ე. ქარუმიძე, პრ. ს. რომანიუკი და პრ. მ. ვილიჩენკო.

საზოგადოების გამგეობა უცხადებს ყველა ზემო აღნიშნულ პირთ გულწრფელ მადლობას.

ხაზინადარი **ზ. გველესიანი.**

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	10.33	საღ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11.13	საღ.
თელავისაკენ	№ 4,	7 „	58 „	დილ.

თფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	9.52	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12	საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	8.48	საღ.
თელავიდან	№ 3,	. 7 „	58 „	საღ.

თუ გსურთ,

რემინგტონზე რისამე დაბეჭდვა,
რემინგტ. სწავლა ამერიკ. წესით,
საქმის ქაღალდის დაწერა,
თხოვნების შედგენა,
საქმის და თხოვნის წარმოება,
ცნობების შეკრება,
მოსამსახურის შოვნა,
საკომისიო მინდობილობა,
ბინის გაქირავება,
ბინის შოვნა,
მამულის სყიდვა,
მამულის გასყიდვა,
მამულის დაგირავება,
მამულის იჯარით გაცემა და სხვ.

მიმართეთ
ცნობის კონტორას
ი. თ. გვათუასას
თბილისი, ვერის დაღმართი,
სახლი მელიქ აზარიანისა № 1

შუამავლობას ეს კონტორა
გასწევს როგორც ქალაქელთა
ისე ქალაქ გარეშელთათვის.

ყველა საქმეს კონტორა სწრაფად და პირნათლად ასრულებს.

ხელმისაწვდომ ფასებში

მისამართი პროვინციელთათვის: Тифлисъ, Верійск. спускъ И. Т. Гватуа, Справочная контора.

შეშის საწყობი
ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა
ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
ყველასთვის ხელმისაწვდომ ფასზე
საკუთარი ტყიდან
საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

საგალანტერიო მაღაზია
ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
ი. ი. გველესიანისა
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:
ჩულქეულობა, კოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი
(101—წ.)

სავაჭრო-სამრეწველო სამინისტროს გამგებლობაში მყოფი
კულინარული (მზარეულობის) სკოლა
ე. ნ. მისტროვისა
(გრიბოედოვის ქ., № 7.)

სკოლის წესდების § 4-ის ძალით აძლევენ თეორეტიულ ცოდნას მეოჯახეობის, სამზარეულოს ჰიგიენის, საჭმელების კეთების, სანოვაგე-სურსათის და ხორცეულობისას. პრაქტიკულად ასწავლიან სხვა და სხვა გვარ რუსულ, ევროპიულ და ადგილობრივ საჭმელების, ნამცხვრების, მურაბების და შინაურ კვასის კეთებას. სკოლის მიზანია: 1) გააუმჯობესოს და გააიაფოს ოჯახში კვება; 2) შეასწავლოს კულტურული პროფესია ცხოვრებაში გამოსაყენებლად და ცხოვრების წყაროს მოსაპოვებლად.

სამი თვის კურსი ღირს 25 მან. შეიძლება მეცადინეობა თვიურად და გაკვეთილობითაც. სკოლაში შესვლა შეიძლება ყოველდღე.

(10—338—9)

ქ. თბილისში, ოლღას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა და წიგ. მაღაზია
„განათლება"-ში
იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის კარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი", „საქართველო", „ეშმაკის მათრახი", „თეატრი და ცხოვრება",", „სახალხო ფურცელი", „ზვირთი", ჟურნ. „განათლება" კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი", „ორიზონი", „მშაკი" და „ხათაბალა".

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეგველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „დ. მაილოვის-ძმით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „ბუშტის" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსულის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან

სტამბა „ცხოვრება" კალანდაძისა, გაზეთის შესახვევი № 4.